ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

## გიორგი გახარია: „როგორ შეიძლება ომი დაიწყო საკუთარ მიწაზე!“

გვ.4



ხუთშაბათი, 22 ნოემბერი, 2018 №277 (7822) ფასი: 60 თეთრი

# „სალომე ზურაბიშვილი „ოცნებას“ უკვე გაემიჯნა“



„ამბობს, ეგენი უნდა გამოვიყენო და მერე სასახლეში არც ერთს არ შემოვუშვებო“

## „ოცნებისთვის“ სალომეს მოგება უარესი იქნება“

თორნიკე შარაშენიძე: „სალომე რთული და არაპროგნოზირებადი ფიგურაა, მის პირობებში „ოცნებას“ გადარჩენა გაუჭირდება“

გვ.4



## გიგლა ბარამიძე: „ივანიშვილმა სახელმწიფოს ნაცვლად შექმნა შპს, რომელსაც „ქართუ“ ბანკის მოლარეებით მართავს“

გვ.3



## დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილთან სპარინგისას ივანიშვილი მიბერტყილი აღმოჩნდა“

გვ.2



### სამართალი

გვ.7

მიხეილ გიორგაძე თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს



კახა საბანაძე: „იაგო ნებიერიძის ჩვენებით, ზაქრო ბერძნიშვილის საქმეზე დოკუმენტური მასალა ვიპოვეთ“



პროკურატურა: „ეკა გიგაურმა და ირმა პავლიაშვილმა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებაზე უარი თქვეს“



### ეკონომიკა



გვ.6

ივანე მაჭავარიანი: „ვერ დაასახელებთ ბიზნესს, რომ რაიმე ტიპის ტერორის ქვეშ ყოფილიყო ხელისუფლების მხრიდან“



„კონკურენციის შესახებ კანონი“ ყველა სფეროზე, მათ შორის საფინანსო სექტორზეც გავრცელდება

მიკროსაფინანსოების ნაწილმა მთავრობის ინიციატივის შესახებ გუშინ გაიგო

ISSN 1987-9385

5 გია გვაზავა: „აფხაზეთში დარჩენილი საკუთრების შესახებ საბუთები უნდა მოგვცენ“

8 ინტერპოლის პრეზიდენტად სამხრეთკორეელი კიმ ჩენ იანგი აირჩიეს

2 თამარ ჩხეიძე: „რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო გეგმა გააქტიურა“

8 14 წლის გოგონამ პუტინს წერილი მისწერა და თავი მოიკლა

# თამარ ჩხეიძე: „რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო გეგმა გააააქტიურა“

მარიამ მჭედლიშვილი

## გახდება თუ არა აფხაზეთი კოსოვო?

ქვეყანაში მიმდინარე დაძაბულ პროცესებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ყოფილ დისიდენტსა და ყოფილ დეპუტატს, თამარ ჩხეიძეს.

**თამარ ჩხეიძე:**

– საპრეზიდენტო არჩევნებით ქვეყანაში არ იცვლება საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება, მაგრამ ოპოზიციის კანდიდატის გამარჯვებით საქართველოს ეძლევა შანსი განვითარებისათვის. გარანტია არც ამ შემთხვევაში გვაქვს, მაგრამ სიახლისა და უკეთესობის შესაძლებლობა არსებობს.

ივანიშვილის მიერ შერჩეული კანდიდატის გასვლა ნიშნავს უდიდეს საფრთხეს. მხედველობაში მაქვს ტერიტორიული მთლიანობა. არაფერს ვამბობ იმაზე, რომ თუ არაფერი შეიცვალა, ივანიშვილი განაგრძობს თავის თვითნებობაზე აგებულ მოქმედებებს ყველა სფეროში.

***– ოკუპირებული რეგიონების საქართველოდან საბოლოოდ გაცალკევების საფრთხე ასეთი რეალურია?***

– რასაკვირველია. ღმერთმა დაგვიფაროს და ის ანტისახელმწიფოებრივი მოქმედებები, რაც აქამდე ხდებოდა, კანფეტია იმასთან შედარებით, რაც შეიძლება დაგვემართოს.

***– ამ საკითხს მოგვიანებით დავუბრუნდეთ. დღეისთვის არსებულ შანსებს როგორ აფასებთ? ბევრი ამომრჩეველი მიიზიდა ხელისუფლებამ?***

– არა მგონია, რომ ხელისუფლებას ძალიან ბევრი ადამიანი მიემხრო თავისი მოქმედებებით. ვალების განულების პროგრამა ეჭვებს რამდენიმე მიმართულებით აღძრავს. ჯერ ერთი, გაზვიადებულად მოჩანს ციფრი, 600.000.

***– რატომ?***

– კრედიტი ბევრს აქვს აღებული, მაგრამ მოვალეების ის კატეგორია, რომელსაც 2.000 ლარამდე აქვს სესხი აღებული, შავ სიაშია და წლობით ერთ ლარსაც ვერ იხდის, ვერ იქნება მოსახლეობის ამხელა რაოდენობა. სანამ ხალხი ყველაფერში გაერკვევა, დიდი დრო გავა.

***– და არჩევნები ჩავლილი იქნება?***

– ეს გადაწყვეტილება მოკლევადიანი ეფექტის მქონე ბლეფია. ისიც გაირკვა, რომ ივანიშვილი თვითონ ვალებს არ ფარავს. ეს ძირითადად



სხვა საფინანსო ორგანიზაციებს დაეკისრება. მოსახლეობამ უნდა გააცნობიეროს, რომ თუ ხელისუფლება რაღაც დათმობაზე მიდის და საზოგადოების თუნდაც მცირე ჯგუფებზე ზრუნავს, ეს არჩევნების პირველი ტურის შედეგია. გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს რომ დიდი მხარდაჭერა არ ჰქონოდა, ხელისუფლება თითსაც არ გაანძრევდა.

***– ბიძინა ივანიშვილმა „იმედისთვის“ მიცემულ ბოლო ინტერვიუში „ქართული ოცნების“ გუნდი მკაცრად გააკრიტიკა. მანვე ტრადიციულად ისაუბრა პოლიტიკური ისტებლიშმენტის სიმწირეზე. რჩება შთაბეჭდილება, რომ ის სხვა სახეებისგან ახალ გუნდს აყალიბებს.***

– თუ დარჩა მმართველობაში, ბევრ ახალ სახესაც მოიყვანს და ზოგ ძველს დატოვებს. ივანიშვილთან მისვლა არც ადრე ყოფილა მისასალმებელი, ახლა კი ძალიან მძიმეა იმათთვის, ვინც ამას გააკეთებს. მასთან გაერთიანება სახელმწიფო ღალატში თანამონაწილეობის ტოლფასია.

***– ტერიტორიულ მთლიანობას გულისხმობთ? ამ თემაზე ვაპირებდით საუბრის გაგრძელებას.***

– რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საწინააღმდეგო გეგმა გააააქტიურა. ივანიშვილს წინა წლებში აქვს განცხადებული, რომ 2008 წლის ომი საქართველომ დაიწყო. ამჟამად ამაზე ლაპარაკი დააწყებინეს პრეზიდენტობის კანდიდატ სალომე ზურაბიშვილს. ყველა ნიშნით, ასეთი მოქმედებები პუტინის კატეგორიული მოთხოვნაა.

***– 21 ნოემბერს სოჭში პუტინი აფხაზეთის დეფაქტო პრეზიდენტ ხაჯიმბას ხვდება. ამგვარი შეხვედრა რამდენჯერმე გაიმართა. ამ მომენტში რუსეთი გარკვეულ ზეწოლას ხომ არ ახდენს საქართველოზე?***

– თუ საქართველოს ხელისუფლებაზეა საუბარი, ივანიშვილს მოსკოვიდან არანაირი ზეწოლა არ სჭირდება. ივანიშვილის მიერ შერჩეული კანდიდატიც აკეთებს იმას, რაც კრემლს უნდა. ეგ კი არა, რუსებს ქვეყნების პრეზიდენტების მომავალი შეხვედრაც დაგეგმილი აქვთ.

***– საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ჩაფიქრებულია საქართველოსა და რუსეთის პრეზიდენტების დიალოგი?***

– ამის შესახებ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კარასინმა განაცხადა. ეს ინფორმაცია მოულოდნელი აღმოჩნდა ზურაბ აბაშიძისთვისაც კი, რომელიც კარასინს სისტემატურად ხვდება.

რუსებს ასეთი შეხვედრა ზურაბიშვილთან უნდათ. თუმცა, ჯერ არჩევნები არ დასრულებულა. ზურაბიშვილის გამონათქვამებმა 2008 წლის ომზე და იმაზე, რომ ქართველებმა ცხინვალი დაბომბეს, უკვე მოიტანა მძიმე შედეგი. ამან იქონია გავლენა ჰააგის საერთაშორისო სასამართლოში მიმდინარე პროცესზე.

***– საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ პოლიტიკური განცხადებები აქ მიმდინარე პროცესზე არ მოქმედებს.***

– მე ამ სფეროს სპეციალისტების სხვა აზრები მაქვს მოსმენილი. იურისტების გარეშეც შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოსთვის არასახარბიელო ვითარება იქმნება. თეა წულუკიანმა მშვიდად აღიარა, რომ ჰააგის სასამართლომ შეიძლება დასაჯოს ჩვენი სამხედროები. საუბარია სამხედროებზე, რომლებიც ქვეყანას იცავდნენ. კახა კალაძე ირწმუნება, ეს საკითხი ოპოზიციის მოგონილიაო, ამ დროს ამაზე იუსტიციის მინისტრი ლაპარაკობს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წინ გვაქვს კოსოვოს მაგალითი.

***– კოსოვოს აღიარება მოულოდნელად მოხდა?***

– მთელი მსოფლიოსთვის კოსოვო სერბეთის ნაწილი იყო. როცა დადასტურდა, რომ სერბებმა იქ სამხედრო დანაშაული ჩაიდინეს, ყველაფერი თავდაყირა დადგა და კოსოვო სერბეთად აღარ ცნეს. კოსოვო გახდა დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ზურაბიშვილის სიტყვებმა უკვე დაგვაზარალა. ღმერთმა დაგვიფაროს და თუ ზურაბიშვილი პრეზიდენტი გახდა და თავისი განცხადებები ერთხელ მაინც გაიმეორა, თბილისსაც დაადანაშაულებენ. ამ შემთხვევაში გადაიხედება არაღიარების პოლიტიკა. თუ რომელიმე სახელმწიფო იცავს საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის პრინციპს და არაღიარების პოლიტიკას, იმ პირობებში ისიც შეიცვლის პოზიციას და მთლიანად გამოეთხრება ძირი არაღიარების დამკვიდრებულ პრაქტიკას. ეს ავტომატურად მოხდება.

ამ ხელისუფლებამ თავი გამოიჩინა სამხედროების მიმართ საშინელი დამოკიდებულებით. ერთ-ერთი მათგანი, ცერცვაძე, რომლის მონაცემებიც რუსეთს გადაეცა, ახლახან დაკრძალეს. მას სახელმწიფოსგან არანაირი პატივი არ მიუღია.

თუ ასე გაგრძელდა, ქვეყნის დამცველი აღარ დარჩება. მებრძოლები ჩათვლიან, რომ მტერთან ბრძოლა დასჯადია. ქვეყანაში უამრავი პრობლემაა, მაგრამ ადრე თუ გვიან, ეკონომიკასაც ეშველება, სხვა სფეროებსაც, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას კი შეიძლება ვეღარ ეშველოს.

# დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილთან სპარინგისას ივანიშვილი მიბერტყილი აღმოჩნდა“

იაგო ნაცვლიშვილი

## „თავის დროზე ვამეცადინეთ ივანიშვილი, რომ „ძველი გვარდია“ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაში დაერწმუნებინა და მათ „ფუი ეშმაკის“ ძახილით დაუჭირეს კანონს მხარი“

მცირე პაუზის შემდეგ „ქართული ოცნების“ ლიდერი ბიძინა ივანიშვილი საზოგადოების წინაშე კიდევ ერთხელ წარდგა. სამშაბათს, 20 ნოემბერს, არჩევნებისა და არსებული პოლიტიკური ვითარების შესახებ ივანიშვილმა ტელეკომპანია „იმედისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ისაუბრა.

ივანიშვილის გზავნილებისა და განცხადებების შესახებ „ახალ თაობასთან“ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** საუბრობს.

***– ბიძინა ივანიშვილმა ისაუბრა არასტაბილურობაზე და ა. შ. მეორე მხრივ კი თქვა, რომ სურს კონსტრუქციულ ოპოზიციასთან ოპონირების რეჟიმში ყოფნა. რამდენად დამაჯერებლად მოგეჩვენათ იმ ფონზე, როცა რამდენიმე წლის წინ შუას გაკრეფვაზე საუბრობდა?***

– მე ვიყავი და ვარ კონსტრუქციულ პარტიაში. როგორც ხედავთ, შუა ვერ გაგვკრიფა, ვერც პოლიტიკაში და ვერც საზოგადოებაში, მაგრამ მაგრად დაგვასუსტა, ქვეყანა დააზიანა და დაამუხრუჭა. პროგრესს ვერავინ ერევა, რამდენი მილიარდიც უნდა ჰქონდეს.



***– რა გზავნილები დაინახეთ მის ინტერვიუში?***

– არ იყო საინტერესო, არაფერი სიახლე არ იყო. ივანიშვილი გაჯიუტებულია თავის შეცდომაში. მას მიაჩნია, რომ მისი ბრალი არაფერია და უბრალოდ მენეჯმენტი უნდა შეცვალოს, შეცვალოს ადამიანები. ახლა გვითხრა, რომ 1 წელიწადში მართლა გააკვირვებს ევროპას დემოკრატიის ხარისხით. მცდარი აკვიატება აქვს, რომ გაჭირვებულ ქვეყანაში დემოკრატია თითქმის შეუძლებელია და ახერხებს, რომ ასეთი დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლების ქვეყანაში მაღალი ეკონომიკური სტანდარტები შეინარჩუნოს.

მას რა ჰგონია, ბალტიისპირეთის ქვეყნები საქართველოზე მდიდრები იყვნენ საბჭოთა კავშირის მერე? თუ ომგამოვლილი ხორვატია იყო დალხინებული 90-იანი წლების შუა ხანებში? სისულელეა მისი ეს თეზისი. სწორედ დემოკრატიას მიჰყავს ეკონომიკა წინ ევროპულ სამყაროში და ჩვენ ამ ევროპული სამყაროს ნაწილი ვართ. უბრალოდ, მან რაღაცები არ იცის.

როდესაც ადამიანი ამბობს, რომ არც თამარ მეფე იყო შემთხვევითი და არც სალომეა შემთხვევითი, მისი ეს ღრმად ფილოსოფიური წიაღსვლები მის სრულ უწიგნურობაზე მიანიშნებს. მას ჰგონია, რომ ქალთა უფლებებზე კარგი თქვა. ჩვენ თავის დროზე კარგად ვამეცადინეთ ივანიშვილი, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებაში დაერწმუნებინა „ძველი გვარდია“, ვისაც ახლა დაუძახა.

***– თავად ანტიდისკრიმინაციულ კანონს ემხრობოდა?***

– დიახ. ივანიშვილი კარგად ვამეცადინეთ და იმან მოსთხოვა უმრავლესობას, მხარი დაუჭირეთო. იმათ კიდევ „ფუი ეშმაკს“ ძახილით 111-ით 0-ის წინააღმდეგ მხარი დაუჭირეს ანტიდისკრიმინაციულ კანონს. 10 რესპუბლიკელი ვიყავით და მეორე 10 ძლივს მოიძებნებოდა, ვინც გულწრფელად უჭერდა მხარს. ივანიშვილი დავარწმუნეთ, რომ არავითარი ვიზალიბერალიზაცია არ იქნებოდა ანტიდისკრიმინაციული კანონის გარეშე.

მას ხანდახან გარკვეული მიმართულებებით, ცოდნის გარეშე, სტიქიური ლიბერალიზმის ნიშნები ეტყობოდა და ესეც გამოვიყენეთ მის დასარწმუნებლად. თორემ, მას არ აქვს სისტემური ცოდნა ადამიანის უფლებების მიმართულებით.

ივანიშვილი ნელ-ნელა ეგუება იმას, რომ შეიძლება მოუწიოს პრეზიდენტ გრიგოლ ვაშაძესთან ურთიერთობა. მას და მისიანებს აგიჟებს, რომ შეიძლება მოუხდეს მოწინააღმდეგე ძალის პრეზიდენტთან თანამშრომლობა.

ნახევარი ევროპა ასე ცხოვრობს, მაგრამ მან არ იცის, რა არის ევროპა. კარგია, რომ მან თქვა, რომ შტაბში მითხრეს, არ თქვაო, მაგრამ რომ დავუშვათ, რომ მოიგოს ვაშაძემ, ჩვენ ვადამდელ არჩევნებს არ დავუშვებთო. ეს არის მთავარი, რომ მათვე გაუჭირდებათ პარლამენტში და შესაძლოა ნელ-ნელა მივიდნენ იმ აზრამდე, რომ თუ პროპორციულ სისტემაზე გადავალთ, ვერც ერთი პარტია ვერ მიიღებს უმრავლესობას. ხოლო თუ არსე-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „სალომე ზურაბიშვილი „ოცნებას“ უკვე გაემიჯნა“

## „ამბობს, ეგენი უნდა გამოვიყენო და მერე სასახლეში არც ერთს არ შემოვუშვებო“

შორენა მარსაგიშვილი



ვინ დააჯერა ივანიშვილი, რომ ილია ჭავჭავაძეა, რატომ ეჩვენება სალომე ზურაბიშვილი თამარ მეფედ, რას ფიქრობს თავად ზურაბიშვილი „ოცნებაზე“ და რა სიურპრიზს უმზადებს ის პირველ მეოცნებეს, რა კავშირი აქვს ევროპულ საარჩევნო კამპანიასთან ხახვს და კარტოფილს? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

**გიგლა ბარამიძე:**

– ქურუმთ-ქურუმმა კიდევ ერთხელ შეადარა სალომე ზურაბიშვილი თამარ მეფეს. რას წარმოიდგენდა ჩვენი დიდი პოეტი, გრიგოლ ორბელიანი, რომ მის დიდებულ მეტაფორას – თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში, ვინმე ზურაბიშვილი ჩაენაცვლებოდა. ამ დიდებული მეტაფორის ნაცვლად, 21-ე საუკუნეში მივიღეთ „სალომეას სახე ბეთანიის ეკლესიაში“.

***– შესაძლოა, თქვენ „ოცნებას“ ახლა იდეა მიაწოდეთ – ისე გამწარებით ადარებენ ზურაბიშვილს თამარ მეფეს, რომ არაა გამორიცხული, ის ფრესკაზეც გამოსახონ.***

– ფრესკაზე ალბათ არ გამოსახავენ. ხომ ხედავთ, ბილბორდებიდანაც აafხრიწეს მისი სახე.

რაც შეეხება „იმედის“ ეთერში გასულ ივანიშვილის ინტერვიუს, ველოდი, რომ ის ნიცშეანური მეტაფორით იქნებოდა გასიმბოლოებული. მივიღეთ „ოცნების“ ქურუმთ-ქურუმის დაპირება – ერთ წელიწადში გაჩვენებთ ევროპასო.

ევროპაში ჩვენ, ქართველები, იმაზე ხშირად დავდივართ, ვიდრე ეგ საკუთარ სოფელ ჭორვილაში ჩადის და ერთი გვითხრას, რომელი ევროპა უნდა გვაჩვენოს. თუ მაგისთვის ევროპა ისაა, სადაც ბიუჯეტიდან მოპარული ფულებით 37.000 დოლარიან სასახლეებს აშენებენ? თუ ესაა მისი ევროპა, ეგეთ ევროპას საქართველოს მოქალაქეები არ ვცნობთ, ნამდვილი ევროპის შესახებ იქეთ მოვუყვებით.

სალომეა რომც დანიშნონ საქართველოს პრეზიდენტად, წინასწარ შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ქართული ოცნება“ დამარცხებულია. დამარცხებულია იმიტომ, რომ პანდორას ყუთი უკვე გაიხსნა. საზოგადოებამ კარგად დაინახა ამ ძალის ნამდვილი სახე.

იმის ნაცვლად, რომ რაღაცის გამოსწორებაზე იზრუნონ, „ოცნება“ და მისი ქურუმთ-ქურუმი საქართველოს მოსახლეობის მოტყუებას აგრძელებენ. ამაში მათ მხარს დენიკინის დროინდელი მომხრეებიც უბამენ. ამ დენიკინის დროინდელებს ხშირად ვხმარობ, მაგრამ მართლა ეგეთი ხალხი ჰყავს გარშემო.

დენიკინის დროინდელები ხმაშეწყობილად გაიძახიან, კი გვაწყენინა „ოცნებამ“, მაგრამ ჯერ დავამარცხოთ ნაცები, რომ არ მოვიდეს მიშა და მერე მივდგეთ ამათ. დენიკინის დროინდელებმა კარგად იციან, რომ ტყუილს ამბობენ, მაგრამ არ ადარდებთ. მათთვის მთავარია, რომ სალომეას, ამ სუსტ საპრეზიდენტო კანდიდატს კარგად შეუძვრნენ, რომ მერე, როცა პრეზიდენტად დაინიშნება, მისგან თანამდებობები მიიღონ.

ნაცების შესაძლო დაბრუნებაზე „ოცნება“ ტყუის. „ოცნების“ ხელშეწყობით, ეს დამნაშავე ძალა უკვე მოსულია. მათ არჩევნებზე 750.000 ხმაც მიიღეს და ლეგიტიმაციაც აქვთ. აღარაფერს ვამბობ, რომ მათ უჭერს მხარს მოსამართლეების კოჰორტა, ძალოვანი უწყებების თანამშრომლების ნაწილი.

„ოცნებამ“ 6 წელი იმუშავა იმისთვის, რომ ჯიბე გაესქელებინა და ერთადერთ პოლიტიკურ ოპონენტად ჰყოლოდა ნაცები, რომლებიც, როგორც უკვე გითხარით, მოსულები არიან.

მინდა მიშას შესაძლო ჩამოსვლაზე ატეხილ ისტერიასაც გამოვეხმაურო. განსაკუთრებით მამაკაცებს მივმართავ – ასე როგორ დაეცით, რომ ერთი კაცის დაბრუნების გამო შიშით გული გისკდებათ. არადა, რომ გკითხოთ, ისეთი მამაცები ხართ, ფეისბუქპოსტების მიხედვით, თქვენი შიშით კავკასიონის მთები იწრიტება.

ან ამ მიშას დაბრუნებით რომ აშინებთ ხალხს, რისი დამბრუნებელია ეგ? რაღაცას რომ ამბობთ, რეალობაც უნდა იცოდეთ.

***– ამათ იმის ეშინიათ, რომ ვაშაძე პრეზიდენტი თუ გახდა, სააკაშვილს შეიწყალებს.***

– ვთქვათ, გახდა ვაშაძე პრეზიდენტი და მართლა შეიწყალა მიშა. სანამ ის საქართველოს საზღვარს მოადგება, მის წინააღმდეგ სხვა საქმეების აღძვრა არ შეიძლება? ერთი შეწყალებიდან მეორე შეწყალებამდე 6-თვიანი პროცედურებია. მიშა 6 თვე ციხეში ჩამჯდომია? ხელისუფლების მიერ ამ თემაზე გაკეთებული განცხადებები არის ჩვეულებრივი ტყუილი.

***– ზემოთ აღნიშნეთ, ბილბორდებიდან სალომე ზურაბიშვილის ფოტოები ააფხრიწესო. ფოტოების საყოველთაო აფხრეწვამდე რამდენიმე დღით ადრე თქვენ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში თქვით, რომ ივანიშვილი უკვე ნანობს, ეს ქალი საპრეზიდენტო კანდიდატად რომ წარადგინაო. აფხრეწვა ამ სინანულს უკავშირდება? ან თუ ნანობს და ფხრეწს, თამარ მეფეს რაღას ეძახის?***

– არანაირი თამარ მეფე არაა ეგ ქალი. ისეთივე თამარია სალომეა, როგორც ძველ ქართულად მეტყველებს. ივანიშვილს ეტყობა ჰგონია, რომ ვინც ქართული ენა კარგად არ იცის, ის ძველ ქართულად ლაპარაკობს. თუ ქურუმთ-ქურუმი მართლა ასე ფიქრობს, მაშინ მისი საქმე იმაზე ცუდადაა, ვიდრე ჩვენ გვგონია. ძველ ქართული კილო როგორი იყო, ეს ნიკო მარმა და ივანე ჯავახიშვილმაც კი არ იცოდნენ. ბიძინა ივანიშვილმა საიდან იცის, შუა საუკუნეებში ან ფარნავაზის ეპოქაში რა ინტონაციით საუბრობდნენ ქართველები.

ადრეც გითხარით და ახლაც გავიმეორებ, რომ ამ ქალის წარდგენას უკვე ნანობს ივანიშვილი. ამიტომაც აღარ ჩანს ეს ქალი ბილბორდებზე. ბილბორდების ნაწილზე მის ნაცვლად ნაციონალები გამოჭიმეს.

მივმართავ ხელისუფლებას, სიქსტის კაპელასავით რომ გამოგვიჭიმეთ ეს ნაციონალები, მათი ყველა ლიდერი რატომ არ არის ბილბორდზე გამოსახული? იქნება იმიტომ, რომ ისინი ბატონ ბიძინასთან ძალიან კარგად თანამშრომლობენ?

ნაციონალური მოძრაობა არის სისხლიანი ნაგავი, ხოლო „ქართული ოცნება“ მექრთამე-პოლიტიკოსების ნაგავია. ამიტომ არაა აუცილებელი, ამ ორი ძალიდან ერთ-ერთის სასარგებლოდ გააკეთო არჩევანი.

***– არჩევნების მეორე ტურში ამ ორი ძალის კანდიდატები გავიდნენ და ვიღაცას ხომ უნდა მისცეს ხალხმა ხმა? თქვენი პარტია ვის უჭერს მხარს?***

– ჩვენი პარტია ქვეყნის ინტერესების მიხედვით მოქმედებს. ჩვენ გვინდა, რომ ერთიც დამარცხდეს და მეორეც. საქართველოში მესამე ძალის შექმნა აუცილებელია.

ორპოლუსიანობა მხოლოდ ნაცებს და ქოცებს აწყობს. „ოცნება“ თავის დენიკინის დროინდელი მომხრეებით ხალხს ატყუებს, მიშა დაბრუნდებაო. გიმეორებთ, რომ ეს არის ტყუილი – სააკაშვილი უახლოესი ორი წელი საქართველოში ვერ დაბრუნდება.

***– ივანიშვილი თავის ბოლო ინტერვიუში რაღაცნაირ თვითგვემას მიეცა. აღიარა, რომ ხალხი გაბრაზებულია და „ოცნებამ“ გრძნობადობა დაკარგა. ეს თვითგვემაც მოჩვენებითია თუ მართლა გააანალიზა, რაც ხდება?***

– ამას მე თვითგვემას ვერ დავარქმევ, ეს იყო აღიარებითი ჩვენება. წინა ინტერვიუში თავის გუნდზე თქვა, სუსტი და მოუქნელიაო, ახლა ამბობს, დაშლის პირას იყოო. ვიცი, რომ ამის სათქმელად ენა არ მოუტრიალდება, მაგრამ თავის გუნდზე აუცილებლად უნდა თქვას, რომ ეს არის სუსტი, უქნარა, მომხვეჭელი, მექრთამე და კორუმპირებული ძალა.

რაც შეეხება გრძნობადობის დაკარგვას, მართლა დაკარგული აქვთ მგრძნობელობა. რეალობის აღქმა არ უნდათ და ნაციონალების გამოყენებით უნდათ, თავიანთ გარშემო ხალხის კონსოლიდირება მოახდინონ.

არავის უჩნდება კითხვა, რატომ ჩააფრინდნენ ასე სრულიად უუნარო პრეზიდენტის სავარძელს? ჩააფრინდნენ იმიტომ, რომ ხელისუფლებაში ყოფნა გაიხანგრძლივონ. ქურუმთ-ქურუმი პირდაპირ გვეუბნება, ერთი წელიც მომეცით, რომ ჩემმა გუნდმა კიდევ უფრო მეტი მოიპაროსო.

ესენი ახლა ფინანსურ-პოლიტიკურ ედემში იმყოფებიან. მცირე გამონაკლისის გარდა, სოციალური არარაოებები და უნიჭოები მიშვებული არიან საძოვარზე და მეწველ ძროხასავით წველიან გაუბედურებულ საქართველოს. გიჟები ხომ არ არიან, ამ ედემიდან წამოვიდნენ.

***– „ოცნების“ ლიდერს ეს ერთი წელი რატომ აქვს ამოჩემებული? რას აპირებს ამ 1 წელში, საპარლამენტო არჩევნები 2 წლის შემდეგ არის.***

– 5 წელი მაცალეთო, რომ თქვას, ხალხი აღარ გამოუცხადებს ნდობას და 1 წელი საზოგადოებამ შეიძლება კიდევ მიუგდოს. 6 წელი ვერაფერი გააკეთეს და 1 წელში რა უნდა მოასწრონ.

ეს არის ტყუილის კლასიკური ნიმუში, ისევე როგორც 600.000 მევალისთვის ვალების განულება. მართლა თუ ამის გაკეთება უნდოდა, აქამდე სად იყო. მეორე ტურამდე 9 დღით ადრე რატომ გაიხსენა ეს თემა. არანაირი 600.000 მევალე არ არსებობს. მათი უმეტესობისთვის ბანკებს ვალები უკვე ჩამოწერილი აქვთ.

მართლა რამის გაკეთება თუ უნდოდა, იმ ხალხისთვის მიეხედა, ვისაც ბანკებში სახლები, მანქანები და ნაკვეთები აქვს ჩადებული. ვალების განულებას არავინ ითხოვს, ბანკებმა პროცენტები უნდა დაწიონ. ბანკების მიერ წართმეული სახლების დაბრუნებაა საქმე და არა – ეს არარსებული პრობლემა, უკვე ჩამოწერილი ვალების განულებას რომ აპირებენ.

იმას კი არ ამბობენ, წარმოებას განვავითარებთო, ხალხს ეუბნებიან, ახლა რაღაც ვალებს ჩამოგაწერთ და მერე რაც გინდათ, ის ქენითო. ამას რომ უყურებთ, სეთური არ გახსენდებათ? სეთური, რომელიც თავის მონებს აშიმშილებს.

ზემოთ ვსაუბრობდით, რომ ივანიშვილი უკვე ნანობს სალომეს კანდიდატურის წამოყენებას. ექსკლუზივის სახით გეუბნებით, რომ თავად ზურაბიშვილიც დასანახად ვერ იტანს „ოცნების“ ხალხს, განსაკუთრებით ქალებს.

პირად საუბრებში ამბობს, ესენი უნდა გამოვიყენო, გავხდე პრეზიდენტი და მერე სასახლეში არც ერთს არ შემოვუშვებო. და ბიძინა თუ ისე არ მოიქცევა, ეს პირველი აპირებს, დაიწყოს კამპანია „არა ოლიგარქს“. ქურუმთ-ქურუმს ევროპაში ისედაც თავი აქვს მოჭრილი.

ისიც იცოდეთ, რომ ზურაბიშვილს პრემიერის პოსტზეც უჭირავს თვალი და თუ პრეზიდენტად დაინიშნა, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელში ჩაგდებაც აქვს გადაწყვეტილი.

მას უკვე ჩამოწერილი აქვს იმ ხალხის სია, ვინ დანიშვნასაც გაპრეზიდენტების შემთხვევაში მოსთხოვს ივანიშვილს.

***– ვისთვის და რა თანამდებობებს ითხოვს?***

– რამდენიმე ქვეყანაში ითხოვს ელჩებად თავისი ხალხის დანიშვნას. გამზადებული აქვს მოსამართლეების სიაც. თავდაცვის სამინისტროზეც უჭირავს თვალი.

***– ვინ უნდა დანიშნოს ამ თანამდებობებზე, თავისი გუნდი ჰყავს?***

– გუნდი არ ჰყავს. მას გარს მლიქვნელები ახვევიან. მათ დაასაქმებს. საგარეო საქმეთა მინისტრი რომ იყო, ოფიციალური დელეგაცია რომ სადმე წავიდოდა, ორი-სამი დღე იკარგებოდა და მერე ხან მთის კურორტზე აღმოჩნდებოდა, ხან სხვაგან სადმე. მას მუშაობის ასეთი სტილი აქვს.

გარემოცვაც ასეთივე ჰყავს და ამ გარემოცვის გამო მას უკვე ღიად დასცინიან „ოცნებაში“. ამბობენ, პიარის ისეთი სპეციალისტები მოიყვანა, რომლებიც პიარის აზრზე არ არიან და ყველაფრის გაკეთება ჩვენ გვიწევსო. დაცინვას სალომე ამჩნევს და ამას გულში იდებს. იმაზეც იბოღმება, რომ მას გადაწყვეტილების მიღების უფლება არა აქვს.

***– არც იმით აღფრთოვანდებოდა, ბილბორდებიდან მისი სურათები რომ ჩამოხიეს და „ოცნების“ ლიდერები გამოფინეს.***

– ამაზე სულ გადარეულია. ბილბორდებზე მისი სურათების აფხრეწვის და იქ „ოცნების“ ლიდერების პორტრეტების გაკვრის შემდეგ, კიდევ როგორ ამბობენ, რომ ის დამოუკიდებელი კანდიდატია.

თავი რომ წაგვჭამეს, ევროპული კამპანია გვაქვსო, რა არის ევროპული კამპანია, კარტოფილს და ხახვს რომ იარაღით არიგებენ? ან იქნებ ისაა ევროპული კამპანია, ხალხს სალომესთვის ფულის გადარიცხვას რომ აიძულებენ. ამის შემყურე მონტესკიე ალბათ საფლავში ტრიალებს.

***– როგორც თქვენ ზემოთ უკვე თქვით, ამათ ევროპა აშკარად სხვა რამე ჰგონიათ, რასაც ნამდვილ ევროპასთან საერთო არაფერი აქვს.***

– ამათი ევროპა სადღაც სხვაგან არის. ან რას შეგვჭამა იმით, რომ საფრანგეთის რომელიღაც პროვინციაში დაიბადა. ნახევარ საქართველოს აქვს ევროპა მოვლილი და აქ ევროპულ ღირებულებებს ვერავის ასწავლი.

სალომემ ჯერ კიდევ საპარლამენტო არჩევნების დროს შეგვჭამა იმის ძახილით, რომ ის ქართული სათვისტომოს და ემიგრანტების სახე იყო. ერთმაც უარი უთხრა საპრეზიდენტო არჩევნებში და მეორემაც.

ისევ მისი და „ოცნების“ დაპირისპირებას დავუბრუნდები. ჩვენმა საზოგადოებამ ერთ მნიშვნელოვან დეტალს არ მიაქცია ყურადღება. რამდენიმე დღის წინ სკანდალი აგორდა, რომ „ოცნებამ“ შავი პიარის მეფე გლუკჰაფტი ჩამოიყვანა. ამასთან დაკავშირებით ზურაბიშვილსაც დაუსვეს კითხვა, ის მმართველ პარტიას მაშინვე გაემიჯნა და თქვა, ის ჩემი პიარი არაა, „ოცნებისააო“.



**გიგლა ბარამიძე: „ივანიშვილმა სახელმწიფოს ნაცვლად შექმნა შპს, რომელსაც „ქართუ“ ბანკის მოლარეებით მართავს“**

არადა მთელი გუნდი მაგაზე მუშაობს.

ტყუილად არ ვამბობ, რომ ამ ქალს უკვე თავში უზის კამპანია „არა ოლიგარქს“. როგორც კი პრეზიდენტი გახდება, პირველი, რასაც გააკეთებს, იქნება ის, რომ წავა ევროპაში და გაემიჯნება „ოცნებას“. მათთან გამიჯვნას უკვე ახლავე ცდილობს.

***– ივანიშვილს თავისი გუნდიც ხომ არ გაემიჯნება? ბოლო ინტერვიუში ისინი სერიოზულად გააკრიტიკა.***

– თავის გუნდზე საუბრისასაც არ არის თანმიმდევრული. არჩევნების შემდეგ გაკეთებულ მიმართვაში თქვა, ძველი გვარდია უნდა დავაბრუნოო. მერე თავადაც მიხვდა, რომ ამ ძველ გვარდიაზე კარგად არ გამოუვიდა და ახლა ამბობს, ერთგულების ნიშნით აღარავინ დასაქმდებაო. მოკლედ, მიედ-მოედება. მართალია, მიედ-მოედება, მაგრამ ამ ერთმა კაცმა მოახერხა ის, რომ 30 საუკუნოვანი ისტორიის ერს დასჯდომოდა თავზე.

რომელ ევროპულობაზე ვბაქიბუქობთ, როცა ქურუმთ-ქურუმი აზის ქვეყანას თავზე და დემოკრატიის სახელით, რასაც უნდა, იმას აკეთებს. ეს არის რეალობა, ვინ იქნება პრეზიდენტი, სალომე თუ პეტრუზა, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

სახელმწიფო მე ვარო, თქვა იმ ქვეყნის მეფემ, რომლის მოქალაქეც ქურუმთ-ქურუმია. იმ მეფემ ეს რომ თქვა, სახელმწიფოც შექმნა, მაგრამ ამან შპს გააკეთა, რომელსაც „ქართუ“ ბანკის მოლარეებით მართავს.

ჩვენ კიდევ ვზივართ და მაგის ინტერვიუებს ვუსმენთ. ნორმალურ ქვეყანაში ადენაუერის გამოსვლას არ უსმენდა ხალხი. არ უსმენდა იმიტომ, რომ მეცნიერი ფოლიანტებს წერდა, სპორტსმენი სპორტსმენობდა, სტუდენტი სწავლობდა. ჩვენ რა შეგვრჩა ხელში? პლანი და კაცი, რომელიც ზღაპრებს ყვება.

მუცლით მეზღაპრეობა გამიგია, მეროჭიკებერობაც, მაგრამ ივანიშვილი ახლა მთლად უფეხო ტყუილებზე გადავიდა. ტყუილები რომ გასდის, ეს პირველ რიგში საზოგადოების და იმ ბიზნეს-ინტელიგენციის ბრალია, რომელიც ივანიშვილს ახვევია.

ამ ხალხს ინტელიგენციასთან საერთო არაფერი არა აქვს. ზოგს სამარშრუტო ტაქსების ხაზები აქვს, ზოგი ბინებს აქირავებს, ზოგსაც მაღალ თანამდებობებზე ჰყავს შვილები.

ქართველ ერს ივანიშვილი იმის თქმას ვერ უნდა უბედავდეს, რომ მე გაჩვენებთ რა არის ევროპა. ჩვენ ვიცით, რა არის ნამდვილი ევროპა, მაგრამ ის არ არის ილია ჭავჭავაძე. ერთმა ქალმა ის შეადარა ილიას და ამისთვის პარლამენტიდან სასწრაფოდ გადაიყვანა საკონსტიტუციო სასამართლოში. მას ილია ერთი მაღალი თანამდებობის პირმაც შეადარა, მაგრამ არ არის ერის მამა და რატომ ითხრის ძირს, ვერ გამიგია.

ამ ყველაფერში ზოგადად დამნაშავე არის ქართველი კაცი, რომელმაც ბოლო პერიოდში მსოფლიოს თავი ჩახდილი შარვლებით და პლანის ქეშაობით დაამახსოვრა. არც ატოცი ახსოვს ვინმეს და არც – სამშობლოსთვის დაღუპული გმირები. მეტსაც გეტყვით, მზად არიან, ისინიც გაასამართლონ ჰააგაში.

ქურუმთ-ქურუმი ხშირად საუბრობს ნიცშეზე, მაგრამ სინამდვილეში მაგის სამაგიდო წიგნი „დათა თუთაშხიაა“. გადახედეთ დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციას და სულ ამ ნაწარმოებიდან არის სცენები.

# „ოცნებისთვის“ სალომეს მოგება უარესი იქნება“

## თორნიკე შარაშენიძე: „სალომე რთული და არაპროგნოზირებადი ფიგურაა, მის პირობებში „ოცნებას“ გადარჩენა გაუჭირდება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

***– ბატონო თორნიკე, ივანიშვილმა მკაცრად გააკრიტიკა უმრავლესობა და სამარცხვინო უწოდა მის მიერ ჩატარებულ კვლევებს. რა მესიჯები ამოიკითხეთ მის განცხადებებში, რა პოლიტიკა აირჩია ივანიშვილმა?***

– ნამდვილად არ ვიცი, რა პოლიტიკა აირჩია ივანიშვილმა, თუმცა ერთი ვიცი, რომ თუ არ გამოასწორებს შეცდომებს, საკუთარ გუნდს თუ არ გადაახალისებს და თუ არ გამოასწორებს მისი მთავრობა მუშაობას, ის ყველა ვარიანტში წააგებს, ახლა თუ არა, 2020-ში. ასე რომ, თუ ამ ლაპარაკიდან გადავა რეალურ საქმეზე, მისთვის უკეთესი, ასევე უკეთესი მისი გუნდისთვის და, რაც მთავარია, საქმისთვის.

***– რამდენად გულწრფელი მოგეჩვენათ ის?***

– ბუნებრივია, მას უმუშავებს თვითგადარჩენის ინსტინქტი. მილიარდებს ადამიანი ისე ვერ იშოვის, თუ არ აქვს თვითგადარჩენის ინსტინქტი. ამიტომაც უნდა ამუშავდეს ახლა ინსტინქტი სერიოზულად და გადაახალისოს თავისი გუნდი.

***– ცივი შხაპივით იყო ეს მმართველი გუნდისთვის.***

– ვნახოთ, რამდენად შეძლებს, რომ გადაახალისოს. თუ შეძლებს ის, დაარწმუნოს წესიერი ადამიანები, პროფესიონალები, რომ შეუერთდნენ მას. რადგანაც ბევრი ადამიანი ფიქრობს საქართველოში, რომ ივანიშვილი დამთავრებულია რეალურად და ამიტომაც მასთან თანამშრომლობას აზრი არ აქვს.

***– პროფესიონალიზმი ახსენეთ და ივანიშვილმა განაცხადა, რომ ერთგულების ნიშნით კადრები აღარ შეირჩევა და აქცენტი გაკეთდება პროფესიონალიზმზე.***

– თუ პროფესიონალები ჩათვლიან, რომ მასთან მუშაობა ღირს, კი. ჯერ უნდა შეარჩიონ ეს პროფესიონალები, დაუძახონ, თვითონ მარტო ხომ ვერ გააკეთებს ამას, ერთ ადამიანს ამდენი არ შეუძლია.



***– ხომ ჰყავს გუნდი?***

– საქმეც ეგაა. მისი გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია მლიქვნელებით, დაუშვებს იმას, რომ ჭკვიანი ხალხი შევიდეს ამ გუნდში და ისინი დაიჩრდილონ მერე მათ ფონზე?! ეს არის დიდი პრობლემა. ვის უნდა დაავალოს პროფესიონალების მოძიება, გუნდს, რომელიც დაინტერესებულია მხოლოდ მისი ფულით? გუნდს, რომელიც მას სიმართლეს არ ეუბნება და არ არის დაინტერესებული იმითი, რომ იქ ჭკვიანი ადამიანები მოხვდნენ?!

ეს რომ მოენდომებინა ორი წლის წინ, გაცილებით იოლი იქნებოდა მისთვის. ახლა გაცილებით რთული იქნება.

***– რატომ?***

– თვითონ ვერ შეარჩევს კადრებს, ეს მარტივი არ იქნება, როცა ამდენი ხანი იზოლაციაში ხარ. მას არ უყვარს საჯარო ცხოვრება, არ უყვარს პოლიტიკა. ურჩევნია ოჯახში ყოფნა. ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ქვეყნის მართვა თუ გინდა, ამ ფუფუნების უფლება არ გაქვს. ამით კი ყველაფერია ნათქვამი.

***– ივანიშვილმა გაყალბებაზეც ისაუბრა, ხელს მოვაჭრი თუ ვინმე გაბედავს და არჩევნებს გააყალბებსო. ჩვენი მხრიდან გაყალბება გამორიცხულიაო. ოპოზიცია და არასამთავრობოები კი აქტიურად აპელირებენ გაყალბების მექანიზმებსა და სქემაზე.***

– წავიდეს და ხელები დააჭრას მაშინ იმას, ვინც 5-5 კილო კარტოფილს არიგებს. ასე რომ, ეს მხოლოდ ცარიელი სიტყვებია და მეტი არაფერი. უამრავი ფაქტი გამომზეურდა გაყალბების, მოსყიდვის და დაშინების. რას ჰქვია ხელებს დააჭრის?! მაშინ ძალიან ბევრი ეყოლება ისეთი, ვისაც ხელები უნდა დააჭრას.

***– ანუ წავა „ოცნება“ გაყალბებაზე?***

– წასულია უკვე, მეტი რაღა წასვლა უნდათ. მაინცდამაინც არჩევნების დღეს კი არ უნდა გააყალბო. აქ მთავარი ის არის, თუ რა ხდება წინასაარჩევნო კამპანიის დროს. კამპანიის დროს თუ ხდება ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენება.

***– რას გულისხმობთ?***

– მაგალითად, რომ დაუძახებ ბიუჯეტზე მომუშავეებს და ეტყვი, რომ ხმა ჩვენ უნდა მოგვცე. მერე იმათ რომ აიძულებ, გადაუღონ ფოტოები ბიულეტენებს, ვიღაც-ვიღაცებისგან რომ იქირავებ პირადობის მოწმობებს, ზოგს დააშინებ, აი, ეს არის გაყალბება და შენი თანამდებობის ბოროტად გამოყენება.

ბოლო თვენახევარია, ამას ვუყურებთ და ახლა რა მნიშვნელობა აქვს, ივანიშვილის ინტერვიუს და მუქარის შემდეგ ბოლო ხუთ დღეში რა მოხდება?! ახლა გაახსენდა, რომ ხელებს დააჭრის, აქამდე სად იყო?!

***– მან მაქსიმალურად გააკრიტიკა უმრავლესობა და ზედმეტად აქო სალომე ზურაბიშვილი. მის მიმართ არ აქვს პრეტენზიები?***

– თუ საკრიტიკო არ არის, მაშინ რატომ წააგო ამ ადამიანმა?! თუ ასეთი მაგარია, რატომ წააგო? ეს კითხვა ჩნდება ლოგიკურად. გუნდმა რა დააშავა? მხოლოდ ის, რომ თურმე ვერ გათვალა კარგად არჩევნების შედეგები, მაგრამ სალომე ზურაბიშვილმა დააშავა ის, რომ წააგო. წააგო საკუთარი მიზეზით.

ის რეალურად ხალხში არ დადის, თუ დადის, ხალხს უყურებს ზემოდან და ხალხი ამას გრძნობს ძალიან კარგად, რომ ზემოდან უყურებს და თან ზიზღით დასცქერის.

აი, ეს არის მთავარი პრობლემა, როგორ შეიძლება საქართველოში ადამიანმა ხმა მისცეს ისეთ კანდიდატს, რომელიც უბრალო ადამიანებს გამუდმებით ზემოდან უყურებს. აი, რა არის ამ ქალის მთავარი პრობლემა, თორემ აბა ვის სჯერა რეალურად, რომ ან ვაშაძეა კაგებეს აგენტი და ან სალომეა კრემლის აგენტი. ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროპაგანდაა.

***– სალომე ზურაბიშვილი მეორე ტურის წინ იშვიათად ჩნდება. რატომ?***

– ალბათ მითითება მისცეს შტაბიდან, იმიტომ მისცეს, რომ უვარგისი კანდიდატია, რომ ვარგოდეს, სულ ტელეეკრანებზე იქნებოდა.

***– ოპოზიცია და არასამთავრობოები მოსყიდვად აფასებენ ვალების ჩამოწერის საკითხს. რას ფიქრობთ ამ საკითხზე?***

– მე არა მგონია, რომ ამან საერთოდ იმუშაოს. როგორც ირკვევა, ძალიან ბევრი მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უარს აცხადებს საერთოდ ამაზე. იმიტომ, რომ ქართუ მათ სთავაზობს, რომ გამოისყიდის ამ ვალებს ღირებულების 10%-დ, რაც ძალიან ცოტაა. მაგალითად, ვივუსს ურჩევნია, რომ დაიცადოს იმ იმედით, რომ ოდესღაც მაინც ამოიღებს ამ ვალის ნაწილს, ვიდრე 10%-დ მისცეს ქართუს.

არჩევნების შემდეგ უნდა მოხდეს ვალების ჩამოწერა და არა – არჩევნებამდე. ჩვენს მოსახლეობას ამ დაპირებების, რომელთაც არჩევნების მერე შეუსრულებენ, მე მგონი, არ სჯერა. მთავრობის მხრიდან ეს არის მოსყიდვის მცდელობა და ეს ძალიან ცუდია.

***– რა იქნება მეორე ტურის შემდეგ?***

– ჩემთვის არ აქვს მნიშვნელობა, რა იქნება მეორე ტურის შემდეგ. აქ უფრო საინტერესოა, რა იქნება 2020 წელს. შესაძლოა, „ოცნება“ ისე გამოფხიზლდეს, რომ 2020 წლის არჩევნებიც მოიგოს, ან საერთოდ დაიშალოს და 2020 წლამდეც ვეღარ მიაღწიოს.

ახლა პრობლემა არის თავად „ოცნების“ შიგნით. მათ კიდევ აქვთ რეალური შანსი, მუშაობა გამოასწორონ, თუ არ გამოასწორებენ ამ მუშაობას, მათთვის აბსოლუტურად არ აქვს მნიშვნელობა, ვინ მოიგებს ამ არჩევნებს.

მე კი ერთი ვიცი ზუსტად, რომ სალომეს მოგება უარესი იქნება მათთვის, ვიდრე ვაშაძის. სალომე რთული და არაპროგნოზირებადი ფიგურაა, მის პირობებში „ოცნებას“ გადარჩენა გაუჭირდება. ამიტომ მათივე ინტერესებში უნდა შედიოდეს ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვება.

# გიორგი გახარია: „როგორ შეიძლება ომი დაიწყო საკუთარ მიწაზე“



შორენა მარსაგიშვილი

აგვისტოს ომიდან 10 წლის თავზე, ქვეყანაში მთავარი სასაუბრო თემა ისაა, თუ ვინ დაიწყო ომი. ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი ომის დაწყებაში საქართველოს ადანაშაულებს. რასაც საზოგადოება უარყოფითად ხვდება.

ამ განცხადებებს კარგად იყენებს ოპოზიცია და მეოცნებეებს, როგორც პუტინის მონებს, ისე წარმოაჩენს.

2008 წლის ომთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია აქვს შინაგან საქმეთა მინისტრ გიორგი გახარიას.

ის გუშინ, 21 ნოემბერს, გორის რაიონის სოფელ შინდისს სტუმრობდა, სადაც ის მოსახლეობას და ომის ვეტერანებს შეხვდა.

მინისტრმა შეხვედრაზე განაცხადა, რომ ოკუპაციას უნდა დაერქვას ოკუპაცია, ხოლო მას, ვინც ქვეყნის ერთიანობისთვის იბრძოდა, შინაგან საქმეთა სამინისტრო და მთლიანად სახელმწიფო დაიცავს.

– საერთოდ კითხვის ნიშანი, ომი ვინ დაიწყო, აბსურდულია. როგორ შეიძლება ომი დაიწყო საკუთარ მიწაზე. გასაგებია, რომ ეს ყველაფერი არის პოლიტიკური აურზაურისთვის. მინდა, რომ ხალხი იყოთ წყნარად, მშვიდად. იცოდეთ, რომ თითოეული თქვენი მეზობელი, თითოეული სამხედრო, პოლიციელი, რომელიც იბრძოდა, ყველას შინაგან საქმეთა სამინისტრო, თავდაცვის სამინისტრო, სახელმწიფო მთლიანად დაუდგება გვერდით. ეს ადამიანები არიან გმირები და იბრძოდნენ საკუთარი მიწა-წყლის დასაცავად.

ოკუპაციას უნდა დაერქვას ოკუპაცია და ეს ხალხი, ვინც აქ იბრძოდა, მათ უნდა იცოდნენ, რომ სახელმწიფო მუდამ გვერდში დაუდგება. მესმის, რომ მძიმეა, მაგრამ სიწყნარეში, სიმშვიდეში ქვეყანა წინ უნდა წავიყვანოთ. მადლობა და გული არ გაიტეხოთ, იცოდეთ, რომ სახელმწიფო მუდამ თქვენს გვერდით დგას, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ჟურნალისტებთან საუბარში გახარიამ რუსი კინომატოგრაფისტების გაძევებაზეც გააკეთა კომენტარი.

გუშინ, 21 ნოემბერს, შინაგან საქმეთა სამინისტრომ რუსეთის ფედერაციის სამ მოქალაქეს საქართველოში შემოსვლაზე უარი უთხრა. აღნიშნული პირები რუსეთის იმ დელეგაციის წევრები არიან, რომლებსაც კინემატოგრაფიულ ფესტივალში „პაემანი რუსეთთან“ უნდა მიეღოთ მონაწილეობა.

– ჩვენ მივიღეთ ის გადაწყვეტილება, რა გადაწყვეტილებაც უნდა მიგვეღო. ჩვენ ბევრი საბაბი გვაქვს იმისთვის, რომ არასასურველი ადამიანები, მოქალაქეები ჩვენს ქვეყანაში არ შემოვუშვათ. რაც გავაკეთეთ, მათ შორის, იმ მიზეზის გამო, რომ ოკუპაციის შესახებ კანონი იყო დარღვეული, – აღნიშნა შს მინისტრმა.

# დავით ბერძენიშვილი: „სააკაშვილთან სპარინგისას ივანიშვილი მიბერტყილი აღმოჩნდა“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბული სისტემა იქნება და 5%-იანი ბარიერი იქნება, მაშინ შესაძლოა, ივანიშვილი თავისსავე ხაფანგში გაებას, როგორც თავის დროზე სააკაშვილი გაება.

თუ ახლა მაჟორიტარები სულ ივანიშვილის არიან, მომავალ პარლამენტში სულ მისი მოწინააღმდეგეები იქნებიან. ამიტომ, შესაძლოა ვადამდელ არჩევნებზე ცოტა უფრო დაფიქრება მოუწიოს.

***– მან ისევ არასტაბილურობაზე გააკეთა აქცენტი. ეს რას ნიშნავს? ისევ საზოგადოების შეშინებას ცდილობს?***

– რა თქმა უნდა. მან იცის ერთადერთი სვლა – სააკაშვილისგან მტრის ხატის შექმნა. ეს გააკეთა 2016-ში, 2017-ში, ეს დააპირა 2018-შიც. 2016-17 წლებში სააკაშვილი სუსტი იყო და მას სჭირდებოდა სპარინგობა, რომ მეორე პოზიციიდან ესპარინგა, რათა ოპოზიციაში საკუთარი პარტიის ლიდერობა დაედასტურებინა და შეენარჩუნებინა. ეს რინგი სააკაშვილისთვის უფრო სასარგებლო იყო და კარგადაც მიბერტყილი აღმოჩნდა ივანიშვილი.

მან ვერ გათვალა ერთი რამე – გრიგოლ ვაშაძისთვის ხმის მიმცემთა დიდი ნაწილი სულაც არ არის სააკაშვილის მომხრე. დაახლოებით 40% სააკაშვილის მომხრე სულაც არ არის, მეტიც – ანტიმიშისტია. 1.2 მილიონი ხმა მიიღო 2012 წელს კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“. იმის ნახევარი მიიღო ახლა სალომე ზურაბიშვილმა.

***– თქვენ მხოლოდ ახლა უჭერთ მხარს გრიგოლ ვაშაძეს თუ სამომავლოდაც ითანამშრომლებთ საპარლამენტო არჩევნებისთვის ან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნა თუ იქნება?***

– ჩვენ ამ საპრეზიდენტო არჩევნებში ვუჭერთ მას მხარს. ამჟამად არ მიმდინარეობს არც პირდაპირი, არც მინიშნებითი მსჯელობა სხვა ფორმატში თანამშრომლობაზე. ეს მომავლის საქმეა.

***– ივანიშვილმა დაადასტურა, რომ გუნდში განხეთქილება იყო. 14%-იანი ცდომილება არ უნდა ყოფილიყო და მძიმე საუბრები მქონდაო. ეს „ქართული ოცნების“ დასასრულის დასაწყისზე ხომ არ მიანიშნებს?***

– ივანიშვილი არ იქნება, არ იქნება „ქართული ოცნება“. ისევე, როგორც შევარდნაძეს და აბაშიძეს მიყვნენ „მოქალაქეთა კავშირი“ და „აღორძინება“. 14%-იანზე, 7%-იანზე და ა. შ. ცდომილება არ ითქმის. კვლევა 3%-იან ცდომილებაზე მეტს არ უშვებს.

მთავარი და არსებითი ის არის, რომ პრეზიდენტი გახდება ის, ვისაც არა ნაცი და ქოცი ამომრჩეველი დაუჭერს. ამ თვალსაზრისით ვაშაძეს უპირატესობა აქვს. ამ ამომრჩეველს არ აინტერესებს წარსული და რაც უფრო გაუხსენებენ ერთი ან მეორე მხრიდან 9 წელს, ეს არ არის პოზიტიური. „ფული მოვატანინე“ და ა. შ. არ არის ამ ტიპის ამომრჩევლისთვის მნიშვნელოვანი.

***– ახსენეთ „ფული მოვატანინე“, ეს ხომ არ აზარალებს კანდიდატს?***

– ამიტომ ვამბობ, რომ ნაციონალების ამომრჩეველს, ვისაც მიშა ძალიან მოსწონს და ვისაც ესიამოვნა, ფული მოვატანინეო, ეს მათთვის არის განსაზღვრული, ხოლო ის ამომრჩეველი, ვინც ოქროს ხმებია ამ პროცესში და ვინც დაახლოებით 10-12 %-ია ამ საარჩევნო სივრცის, ვინც არ მისცა ხმა არც ხელისუფლების და არც წამყვანი ოპოზიციური კანდიდატის, ეს ამომ-



რჩეველი არ ოპერირებს ამ ტერმინებით, არ სიამოვნებს ამის მოსმენა.

ამიტომ, სწორედ ამ ამომრჩეველზეა სამუშაო.

# „აფხაზეთში დარჩენილი საკუთრების შესახებ საბუთები უნდა მოგვცენ“

## გია გვაზავა: „ჩვენ არასდროს აფხაზი მტრის ხატად არ დაგვიხატავს. ყოველთვის ვიცოდით, რომ თავსმოხვეული კონფლიქტია. ეს არ არის ეთნოსებს შორის კონფლიქტი, რუსულ-ქართული კონფლიქტია“

გულიკო ბალაძე

აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა „ახალ თაობასთან“ აფხაზეთის პრობლემასა და აფხაზეთიდან დევნილი მოსახლეობის ქონების რეატიტუციის საკითხზე საუბრობს.

***– ბატონო გია, მოგეხსენებათ, წლები გავიდა და აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების რეალური გზა, ჯერჯერობით, ვერ გამოინახა. რაიმე გადაწყვეტილებები თუ მიიღება ამ მიმართულებით?***

– იმ სტრატეგიის ფარგლებში, რომელიც საქართველომ აირჩია – თანამშრომლობა აღიარების გარეშე – გარკვეული წარმატებები არის. თუმცა, ლაპარაკი არ არის იმაზე, რომ ხვალ იქ დარჩენილი ხალხი ჩვენსკენ გამოიქცევა და ერთიან სივრცეში ცხოვრებას დათანხმდება. არსებობს რამდენიმე პროგრამა – სამედიცინო პროგრამა, ეკონომიკური პროგრამა, კულტურის პროგრამა, რომელმაც გარკვეული შედეგი გამოიღო.

განსაკუთრებით ჯანდაცვის პროგრამა მუშაობს კარგად. არაერთი ადამიანი ჩამოდის, აქ კვალიფიციურ დახმარებას იღებს და იქ რომ ჩადის, მეტ-ნაკლებად სიკეთეს ქმნის. საკმაოდ ხშირად ვხვდები იქიდან ჩამოსულ ადამიანებს, ვესაუბრები მის ახლობლებს და მათი აზრი თანდათან იცვლება.

***– კერძოდ, რა აზრი იცვლება?***

– იცვლება რიტორიკა, რომ არავინ არ უნდა დაბრუნდეს. მხედველობაში არ მყავს ე.წ. პოლიტიკური ელიტა. ვსაუბრობ ჩვეულებრივ ადამიანებზე, მაგრამ თავის წრეში საკმაოდ მაღალი რეიტინგის მქონე ადამიანებს. რიტორიკა, რას ჰქვია ერთად უნდა ვიყოთ, პატარა ერები ვართ. საშიშროებას გრძნობენ, რომ აფხაზი ერის გაქრობა-არგაქრობის საკითხი ძალიან მძაფრად დგას.

***– აფხაზები და ქართველები ერთმანეთის საჭიროებას გრძნობენ, ანუ ისინი გრძნობენ, რომ ჩვენ ვჭირდებით და ჩვენ ვგრძნობთ, რომ ისინი გვჭირდებიან?***

– ჩვენ არასდროს აფხაზი მტრის ხატად არ დაგვიხატავს. ყოველთვის ვიცოდით, რომ თავსმოხვეული კონფლიქტია. ეს არ არის ეთნოსებს შორის კონფლიქტი, რუსულ-ქართული კონფლიქტია. ამიტომ ჩვენ ამაზე საუბარი ყოველთვის გვქონდა იმ გაგებით, რომ აფხაზი არასოდეს მტრად არ აღგვიქვამს. თუმცა, მათი აზრით, მათი ნაწილისთვის ჩვენ ყოველთვის დაუძინებელი მტერი ვიყავით, მაგრამ აფხაზების ნაწილმა სინამდვილე დაინახა.

***– თუმცა, სეპარატისტთა ლიდერებიდანაც გამოჩნდნენ ისეთები, მაგალითად, შამბა, რომელმაც თქვა, რომ ქართველები მტრად არ მიმაჩნიაო. თუმცა, ჩვენ არ ვიცით, რა მიზანი ჰქონდა მის განცხადებას.***

– თქვენ არ იფიქროთ, რომ ისინი ლაპარაკობენ, ჩვენ შემოგიერთდებით და საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღვადგენთო. არა, ისინი ამბობენ, ჩვენ დამოუკიდებელ სახელმწიფოში დამოუკიდებლად ვიცხოვროთ, მეზობლურად ვიცხოვროთ და თქვენ დევნილები დაბრუნდით, ნაწილობრივ მაინც. თუმცა, ამ ეტაპზე დაბრუნება, საერთოდ, გამორიცხულია. მე ვსაუბრობ არა ე.წ. პოლიტიკური ელიტის, არამედ უბრალო ადამიანების გამონათქვამებზე. ეს აზრი ძალიან ფართოდ არის გავრცელებული.

***– შეიძლება დადგეს მომენტი, როცა ამ უბრალო ადამიანებმა განსაზღვრონ ქართველებისა და აფხაზების შერიგება და ერთად ცხოვრება.***

– გეთანხმებით. აფხაზეთში ხაჯიმბა ძალიან ბევრისთვის რომ მიუღებელია, იმაზე მეტყველებს, ის ძალიან პრორუსულად მიაჩნიათ. იქ ლაპარაკია რამდენიმე საკითხზე, რომელიც მან ვერ გადაწყვიტა კრემლისთვის.

***– რა საკითხები ვერ გადაწყვიტა ხაჯიმბამ?***

– პირველ რიგში, ეს არის უძრავი ქონებისა და მიწების გაყიდვა.

***– იყო ინფორმაცია, რომ კრემლი ხაჯიმბას ჩასანაცვლებლად ახალ კადრსაც კი ამზადებს. მაგალითად, არძინბას სახით.***

– დიახ, გეთანხმებით. ახლა ხაჯიმბას შეხვედრა აქვს პუტინთან სოჭში. ვნახოთ, პუტინი და ხაჯიმბა სოჭში რაზე მოილაპარაკებენ და ერთმანეთს რას ეტყვიან. აფხაზეთში არჩევნები მოდის. იქ კორუფციის საკითხებია. ის ჯგუფი, რომელიც ჩრდილო კავკასიაში იყო გაგზავნილი და რაღაცები გამოიკვლიეს, ახლა ისინი ცხინვალის რეგიონში არიან. იქიდან შეიძლება აფხაზეთში გადმოინაცვლონ იმის გასარკვევად, სად და როგორ იხარჯება კრემლის ფული. ალბათ, ამის გაგება აინტერესებთ.

***– შეიძლება რუსეთიდან შესული ფული, აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლებაში ვიღაცების ჯიბეებში ილექება?***

– რა თქმა უნდა, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ფული ნაწილობრივ ელიტაში ნაწილდება, ნაწილობრივ რჩება ატკატად. ხალხს, ალბათ, ყველაზე ნაკლები ხმარდება.

***– ერთია, რას აკეთებს რუსეთი აფხაზეთში, როგორ ღებულობს ამას იქაური საზოგადოება და იქაური ე.წ. ხელისუფლება. მაგრამ მეორეა, რას ვაკეთებთ ჩვენ. თქვენ ჩამოთვალეთ, რა სფეროებში ვთანამშრომლობთ.***

– „თანამშრომლობა აღიარების გარეშე“ პროგრამის შიგნით გამოვრიცხეთ ყოველგვარი ძალით ამ საკითხის გადაწყვეტა. ამ პროგრამის შიგნით თანამშრომლობა უნდა გავაფართოვოთ, მეტი თანხა უნდა ჩავდოთ კიდევ სხვა პროგრამებში. ახალი პროგრამები უნდა შეიქმნას, ახალგაზრდებისა და ვეტერანების შეხვედრები უნდა მოეწყოს. ტაქტიკური პროგრამები უნდა გვქონდეს. კიდევ ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს. ეს არის პოლიტიკურ-სახალხო-დიპლომატიური ნაზავი, რომელმაც გარკვეული შედეგები დღეს თუ არა ხვალ უნდა მოგვცეს.

***– თქვენ საუბრობთ იმ პროგრამაზე, სააკაშვილის დროს რომ იყო, „აფხაზეთი ჩემი სახლიას“ სახელწოდებით?***

– დიახ. ამ პროგრამას წინ უძღოდა გარკვეული ტიპის სამუშაოები. ჩვენ შევქმენით არასამთავრობო ორგანიზაცია, რადგან ეს საკითხი არავის აინტერესებდა, ყველგან ყრუ კედელს ვხვდებოდით, როგორც შევარდნაძის ხელისუფლების დროს, ასევე შემდეგაც. რადგან ვერ მივაღწიეთ ამ საკითხის გააქტიურებას, ამიტომ იძულებული ვიყავით შეგვექმნა არასამთავრობო ორგანიზაცია; შევქმენით საბუთების ნუსხა, რომელიც სჭირდებოდა ადამიანს იმ ვარიანტებისთვის, როცა ჰქონდა დამამტკიცებელი საბუთი, რომ იქაური მცხოვრებელი იყო და როცა არ ჰქონდა.

შემდეგ ეს ჯგუფი დაიბარეს დევნილთა სამინისტროში, სამი წელი მუშაობდნენ. მიმდინარეობდა სურათების გადაღება და დოკუმენტაციის შექმნა. დოკუმენტაცია შეიქმნა. დაახლოებით 60 ათასზე მეტი ოჯახის ისტორია დაიდო.

***– თქვენ უარის თქმის რეალურ მიზეზად რა დაინახეთ?***

– ახლა მოგიყვებით. მთავარი მიზეზი ეს გვითხრეს, მაგრამ რეალურად, მგონი სხვა მიზეზი იყო.

***– მაინც?***

– არ ვიცი, ახლა ძნელი სათქმელია რა და როგორ, მაგრამ რეალურად ეს გვითხრეს. როცა პარლამენტში რატიფიკაცია მოვახდინეთ (და საქართველო შეუერთდა რესტიტუციის შესახებ კონვენციას), პირველ პუნქტში ჩვენ დათქმა გავაკეთეთ, სანამ ტერიტორია არ გამთლიანდება და დევნილები არ დაბრუნდებიან, მოპასუხე (და ვინც კომპენსაცია უნდა მისცეს) საქართველო არ იქნება. რადგან რუსებმა ჩვენი მოქალაქეები იქ თავის მოქალაქეებად გადაწერეს, მაშინ ლოგიკურად იდგა საკითხი, ვინ იქნებოდა მაშინ კომპენსაციის გამცემი. ვინ უნდა გადაიხადოს? ვინც გადაწერა ეს ხალხი თავის მოქალაქეებად და დღეს ისინი ცხოვრობენ ჩვენთან.

<<<<<<< ***– თუკი ისე მოხდებოდა, რუსეთი აიღებდა ამაზე პასუხისმგებლობას და თანხასაც გადაიხდიდა, მაშინ?***

– საერთაშორისო სამართლის მიხედვით მთელი ნაბიჯებია გადასადგმელი. ლოგიკური შეკითხვაა, მაშინ რა მოხდებოდა თუ რუსეთი პასუხისმგებლობას აიღებდა. მაშინ საქართველო ჩაერთვებოდა და დაამტკიცებდა, რომ ეს რუსეთის მომზადებული გეგმაა და ჩვენი ქვეყნისთვის დამანგრეველია.

საბოლოოდ, მოხდა ისე, რომ აფხაზეთში დარჩენილი საკუთრების შესახებ საბუთები არ მოგვცეს, ვერ მივიღეთ საჯარო რეესტრის ამონაწერი. კიდევ არის ეს საქმე ბოლომდე მისაყვანი.

***– ახალი ხელისუფლების პირობებში რა ხდებოდა, ეს საკითხი აღარ დაგიყენებიათ?***

– ახალი ხელისუფლების პირობებში, ორი წლის წინ, ჩვენ ეს საკითხი ხელახლა დავაყენეთ, როცა 45 ლარის თაობაზე იყო ლაპარაკი – დევნილებს 45 ლარი დაეთმო სახელმწიფოსთვის, რომ ამით მათი სახლები აშენებულიყო, რა თქმა უნდა, ინვესტიციის მოზიდვით და ა.შ. იმ დროს მე ვთქვი, რომ ის 45 ლარი ყველა დევნილს ამინდს ვერ შეუქმნის, მაგრამ ის ადამიანი, რომელიც არ მუშაობს, მისთვის ეს 45 ლარი ცოტა არ არის.

***– ელემენტარულად, პურის ფულია.***

– თუკი ოჯახში კიდევ რამდენიმე კაცი იღებს, რაღაც პატარა პურის ფული არის. მეორეც, იმ პროექტისთვის (რომლის განხორციელებაზეც იყო ლაპარაკი) დევნილების 45 ლარის დათმობა, გარკვეულწილად, დევნილთა სტატუსზე იყო მიბმული. ეგ უნდა იყოს ნებაყოფლობითი. თუკი დევნილისთვის, მაგალითად, ჩემთვის რომ ეთქვათ, არ გინდა ის 45 ლარი (მე მაინც არ ვღებულობ) და რეესტრიდან საბუთს მოგცემთო, მე დავთანხმდებოდი, რადგან ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს რჩებათ საბუთი, რომელიც ადასტურებს, რომ იქ დარჩენილი ქონება შენია. 1000 წელიც რომ გავიდეს, ის ძალაშია. ე.ი. დაბრუნების სტიმული არის ის ქონება. თუ ეს დოკუმენტი გაიცემა, არც დევნილის საბუთი გჭირდება და არც არაფერი, იქ ქონება არ დაიკარგება.

***– ამ მხრივ დღეს რა მდგომარეობაა, ამ საკითხთან დაკავშირებით სახელმწიფო პოლიტიკა თუ შეიცვალა?***

– ეს საკითხი დაისვა და შეხვედრები გვქონდა საქართველოს პარლამენტში, მთავრობაში. შედეგად ამა წლის 6 აგვისტოს მიღებული იქნა კანონი რესტიტუციის შესახებ, რომ ბოლომდე დასრულდეს დევნილების ქონებრივი აღწერა დევნილებში. ამაზე ფულიც გამოიყო. მიიღეს კანონი, რომელიც ამის საშუალებას იძლევა. ვნახოთ, შემდეგ როგორ შევასრულებთ მას.

***– კანონით რეესტრს არ აქვს ვალდებულება, რომ პროცესი არ შეაფერხოს, გასცეს დოკუმენტები, რომ სასამართლო პროცესები დაუბრკოლებლად წარიმართოს?***

– რაც მთავარია. პოლიტიკური ნება არის. შემდეგ კიდევ გაიწერება იმის გეგმა, კანონით რაც არის გასაკეთებელი. თუ ვინმე ფიქრობს, რომ დევნილები აფხაზეთში დარჩენილ ქონებას გაყიდიან, ამის შიში არ უნდა ჰქონდეთ. ადამიანს უფლება აქვს, თავისი საკუთრება როგორც უნდა, ისე გამოიყენოს, მაგრამ ამის საშუალება არ გვაქვს, აფხაზეთში ვერ ჩავდივართ და ამას ვერ გავაკეთებთ.

თან საქართველოს პარლამენტს მიღებული აქვს კანონი, რომელიც კრძალავს აფხაზეთის ტერიტორიაზე ყოველგვარ იურიდიულ ქმედებას, მით უმეტეს, ყიდვა-გაყიდვას. გარდა ამისა, მთელი ჩვენი ქონება, კომუნისტური წესიდან გამომდინარე, გადაიწერა და გახდა მუნიციპალური. ამიტომ აქ უკვე პიროვნებასთან კი არ გაქვს საქმე, არამედ მუნიციპალიტეტთან. ამიტომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე არსებული ქართველების ქონების გაყიდვა ძალიან რთულდება.



# დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულების ხარჯები 21 მილიონი ლარითაა გაზრდილი

დედაქალაქის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტით, ეკოლოგიური, ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულების ხარჯები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, – ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ მუნიციპალიტეტის მთავრობის დღევანდელ სხდომაზე განაცხადა.

კახა კალაძემ დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე ისაუბრა, რომელიც განსახილველად თბილისის საკრებულოს გასულ კვირას გადაეგზავნა.

– გასულ კვირას თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი წარვადგინეთ, რასაც ოპოზიციის მხრიდან არაადეკვატური გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენ მიერ წარდგენილი პროექტის ჯამური მოცულობა 871 მილიონია, რომელშიც, როგორც მერიის შემოსავლები, ასევე, ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ე.წ. გათანაბრებითი ტრანსფერის კომპონენტი შედის. ორივე კომპონენტი 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2019 წლის ბიუჯეტში, 50 მილიონამდე ლარით მეტია, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში თანხა ასევე, ბაგა-ბაღების ვაუჩერული დაფინანსებისა და 11 ახალი ბაღის დასრულებისთვის არის გათვალისწინებული. ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით დაგეგმილი ხარჯები კი, 340 მილიონ ლარს შეადგენს.



– ფინანსთა სამინისტროსთან აქტიურად ვმუშაობთ. რაც მთავარი და მნიშვნელოვანია, ცენტრალური ხელისუფლების და პრემიერ-მინისტრის მაქსიმალური მხარდაჭერა და თანადგომა გვაქვს, რომ ქალაქში იმაზე მეტი პროექტი განვახორციელოთ, რაც მიმდინარე წელს განხორციელდა. ასევე, აღსანიშნავია ჯანდაცვისა და სოციალური მიმართულების ხარჯები, რომელიც 21 მილიონი ლარითაა გაზრდილი და მთლიანობაში 327 მლნ ლარს შეადგენს. ამ თანხის ნაწილი გათვალისწინებულია ბაგა-ბაღების ვაუჩერული დაფინანსებისა და 11 ახალი ბაღის დასრულებისთვის. მინდა ვუთხრა ოპოზიციას, დამშვიდდნენ და ნუ ნერვიულობენ – ყველაფერი მიდის სწორად და დაგეგმილად. მომავალი წლის ბიუჯეტი კიდევ უფრო გაიზრდება და დედაქალაქს კიდევ უფრო მეტი ფინანსური რესურსი მოხმარდება, – აღნიშნა თბილისის მერმა.

თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, ეკოლოგიური მიმართულებით ხარჯები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. კერძოდ, ამისთვის 2019 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, ხუთი მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება; იგეგმება ასევე, რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, რომელთაგან ერთ-ერთი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან წყნეთის გზატკეცილამდე დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობაა.

გარდა ამისა, დაგეგმილია რამდენიმე ხიდისა და მეტროსადგურის რეაბილიტაცია; სანიაღვრე და წყალარინების ქსელის მოწყობისთვის დაახლოებით, ცხრა მილიონ ლარამდე დაიხარჯება, ხოლო კახეთის გზატკეცილზე აეროპორტის სატრანსპორტო კვანძიდან ლოჭინის ხიდამდე არსებული მონაკვეთის სრული რეკონსტრუქციისთვის დაახლოებით 27 მილიონი ლარი გამოიყოფა.

სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისთვის დაახლოებით 25 მილიონი ლარის დახარჯვა იგეგმება, რომელშიც ავტობაზების მოდერნიზებაც არის გათვალისწინებული. მომავალი წლის ბიუჯეტით, ასევე, სრულიად ახალი ავტობუსებისა და ელექტროავტობუსების შემოყვანა იგეგმება.

კომერსანტი

# „კონკურენციის შესახებ კანონი“ ყველა სფეროზე, მათ შორის საფინანსო სექტორზეც გავრცელდება



კონკურენციის შესახებ კანონი ყველა სფეროზე, მათ შორის საფინანსო სექტორზეც გავრცელდება, – ამის შესახებ ბმ.გე-ს კონკურენციის სააგენტოს ხელმძღვანელმა, ნოდარ ხადურმა, განუცხადა.

„კონკურენციის შესახებ“ კანონში ცვლილებების პროექტი, რომელიც ევროკავშირის ექსპერტების მონაწილეობით მომზადდა, უკვე წარდგენილია პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტში.

ცვლილებების მიხედვით, კონკურენციის სააგენტო ჩამოყალიბდება მარეგულირებელი ორგანოების მსგავსი სტრუქტურის შესაბამისად. ფართოვდება ასევე აღნიშნული უწყების უფლებამოსილებაც.

– ეს მთლიანად არის დამოკიდებული საქართველოს პარლამენტზე. დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტშია კანონპროექტი და ჩვენ ველოდებით მის ინიცირებას. არის თემები, რომელიც არის შესაჯერებელი. არის საკითხები, რომელიც აუცილებლად გადასაწყვეტია, რაც არის, მაგალითად, გამოთხოვილი ინფორმაციის წარმოდგენის აუცილებლობა მეწარმე სუბიექტებისაგან. ამავე დროს საუბარია იმაზე, რომ კონკურენციის სააგენტო იქნება უწყება, მაგრამ მას უხელმძღვანელებს არა ერთი ადამიანი, არამედ საბჭო ისე, როგორც ეს ხდება დღეს მარეგულირებელ კომისიებში, რაც გაზრდის კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებლობის ხარისხს.

კანონი გავრცელდება ყველა სუბიექტზე, მაგრამ კანონის აღსრულებას განახორციელებენ შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოები. ეროვნული ბანკი საფინანსო სექტორში, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა. მათზე მუშაობს კონკურენციის სააგენტო, ენერგეტიკისა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიები შესაბამის სფეროებში. მაგრამ თუ არის საკითხები, რომელიც არის ორი მარეგულირებლის კომპეტენციაში, ამ შემთხვევაში არა მარეგულირებელი კომისიები, არამედ კონკურენციის სააგენტო იქნება მოკვლევებზე პასუხისმგებელი, – განმარტავს ნოდარ ხადური.

BM.GE

# ივანე მაჭავარიანი: „ვერ დაასახელებთ ბიზნესს, იქნება ეს მცირე, მიკრო თუ მსხვილი ბიზნესი, რომ რაიმე ტიპის ტერორის ქვეშ ყოფილიყო ხელისუფლების მხრიდან“



ამ ხელისუფლების ბუნება არ არის, რომ ვინმეზე ზეწოლა მოვახდინოთ, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა გადაცემა „არჩევანში“ დასმული კითხვის საპასუხოდ, ახდენს თუ არა ხელისუფლება ზეწოლას სესხების ამომღებ კომპანიებზე, რათა მათ გააფორმონ ხელშეკრულება ფონდ „ქართუსთან“.

— თქვენ ვერ დაასახელებთ ბიზნესს, იქნება ეს მცირე, მიკრო თუ მსხვილი ბიზნესი, რომ რაიმე ტიპის ტერორის ქვეშ ყოფილიყო ხელისუფლების მხრიდან. ჩვენი ხელისუფლება არ არის იდეალური და მეეჭვება, სადმე არსებობდეს რომელიმე ქვეყანაში, ჩვენ მიმართ შეიძლება იყოს პრეტენზია, რომ შედარებით ნელი ვართ გადაწყვეტილებების მიღებაში, ვფრთხილობთ და დემოკრატიის პირობებში, ეს ყველა ხელისუფლებას ახასიათებს და ცოტა აქვეითებს ეფექტურობას ეს ასეა, მაგრამ სხვა ყველა დანარჩენი მართვის მოდელი ჩემზე კარგად იცით, რომ უარესია. ის, რომ ხელისუფლება ძალადობს, ბიზნესს ართმევს ქონებას, სძალავს ფულს ამის დაჯერება ხომ შეუძლებელია? გეთანხმებით, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მედია. ჩვენი ეს საუბარიც მნიშვნელოვანია, მაგრამ ახლა, რაც არ უნდა ერთმანეთს ვუმტკიცოთ, რომ ჩვენ ვატერორებთ ბიზნესს, ხომ არავინ არ დაიჯერებს, რადგან თვითონ ხომ კარგად იციან ბიზნესმენებმა? ეს ქვეყანა, ხომ იცით, რა პატარაა? ხომ იცით, რომ არაფორმალურ კომუნიკაციას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს? რამდენიც არ უნდა მოგატყუოთ, თუ პირიქითაა, ხომ გაიგებთ ამას თუნდაც თქვენი მეზობლისგან, ან ნათესავისგან? ამიტომ არაა საჭირო ღია კარის მტვრევა. რაც არ არსებობს, იმაზე ნუ გვაკრიტიკებთ, — აღნიშნა ფინანსთა მინისტრმა, ივანე მაჭავარიანმა.

**კომერსანტი**

# ბიზნესმენები სესხების განულებაზე: „თუ ამას ბიძინა ივანიშვილს მოსყიდვად ჩაუთვლით, მაშინ, მაგ ლოგიკით, ყველა მოსყიდულები ვყავართ“



ბიზნესმენი ლაშა პაპაშვილი მთავრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას სესხების განულებასთან დაკავშირებით იწონებს და აცხადებს, რომ ხალხს თუ მუდმივად ექნება მსგავსი შეღავათები, ძალიან კარგი იქნება.

როგორც ცნობილია, მთავრობის გადაწყვეტილებით, 600 ათასზე მეტ ადამიანს ვალი ჩამოეწერება.

მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, რომ ეს შეიძლება განხილული იყოს საპრეზიდენტო არჩევნების წინ ამომრჩევლის მოსყიდვად, პაპაშვილი აღნიშნავს, რომ მოსყიდვა იქნებოდა თუ ამას ბიძინა ივანიშვილი პირველად ან მეორედ გააკეთებდა.

— ამ ფაქტს თუ ბიძინა ივანიშვილს ამას მოსყიდვად ჩაუთვლით, მაშინ ყველა მოსყიდული ვყავართ, რადგან ეს ადამიანი წლებია ყველა ოჯახს ეხმარება თავისი მოღვაწეობის განმავლობაში, — აღნიშნავს პაპაშვილი.

ბიზნესმენი აცხადებს, რომ მთავრობის, ფონდი „ქართუს“ და კონკრეტულად ბიძინა ივანიშვილის გადაწყვეტილება საქართველოში რამდენიმე ოჯახისთვის შვებაა. პაპაშვილი აცხადებს, რომ ამ სესხების და ე.წ შავი სიების გამო სრულიად ერია დაპირისპირებული.

— ზოგი უმუშევარია და შავ სიაშია, მაგრამ წლებია საკრედიტო ოფიცერი და საკრედიტო დაწესებულებები გადაკიდებულები არიან. სესხების განულებით სიმშვიდე შემოვიდა და დაარქვით თუ გინდათ მოსყიდვა, — აცხადებს პაპაშვილი.

კითხვაზე, ხომ არ გახდება მთავრობის ეს გადაწყვეტილება იმის რისკი, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ადამიანები აღარ გადაიხდიან არსებულ სესხებს იმის იმედით, რომ „ხვალ მათ ვიღაც“ გაუნულებთ, პაპაშვილი აღნიშნავს, რომ ეს ნაკლებად სავარაუდოა. „სამყარო დასაბამიდან ასეა, რომ შეჭირვებულს ეხმარებიან“ — აცხადებს პაპაშვილი.

სესხების განულების ინიციატივას მიესალმება სამშენებლო-დეველოპერული კომპანია GDG+-ის დამფუძნებელი ბეჟან წაქაძეც. მისი განმარტებით, ეს არის ჰუმანური აქტი იმიტომ, რომ ძალიან ბევრ ადამიანს ქვეყანაში ჭარბვალიანობის პრობლემა ჰქონდა. „მე, პირადად, სამსახურში ადამიანი ვერ მიმიღია იმის გამო, რომ ხელფასს ბარათზე ვერ დავურიცხავდი შავ სიაში არსებობის გამო. ზოგიერთი მთხოვდა ხელზე გამეცა და მერე რაღაც მომეხერხებინა. ასეთმა ადამიანმა ოჯახში ფული უნდა შეიტანოს, მისი ხელფასი კი ველარ წვდებოდა ცალკე ოჯახის შენახვას და ცალკე ვალების მომსახურებას. წლების განმავლობაში ეს ვალები ძალიან ბევრმა ადამიანმა „აიკიდა“, რაც სასწრაფოდ გამოსასწორებელი იყო. თავის დროზე ბანკებმა საშინელი პროცენტებით გასცეს ამ ადამიანებზე სესხები, ხოლო როდესაც უჭირს კაცს, ის ყველაფერზე მიდის, რომ ოჯახი დააკმაყოფილოს, სხვა რამეზე უკვე ველარ ფიქრობს, — აღნიშნავს წაქაძე.

ბიზნესმენის შეფასებით, მთავრობის ეს გადაწყვეტილება წინ უსწრებს საბანკო რეგულაციების ამოქმედებას, რომლის შედეგადაც სესხებს ისე მარტივად, როგორც ადრე, ვერ აიღებენ. შესაბამისად, მთავრობის ეს გადაწყვეტილება ძალიან დროული და სწორი იყო.

როგორც ცნობილია, მთავრობის გადაწყვეტილებით, საქართველოს 600 ათასზე მეტ მოქალაქეს ბანკების, ონლაინ ორგანიზაციების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ დავალიანება გაუნულდებათ. საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის განცხადებით, ვალების განულების პროცესი დაიწყება 15 დეკემბერს და 31 დეკემბრამდე დასრულდება.

ამასთან, როგორც პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, ვალების განულების პროცესი ფონდ „ქართუს“ მხარდაჭერით განხორციელდება.

რაც შეეხება დღეს არსებულ სტატისტიკას, 2018 წლის სექტემბერში, კომერციულ ბანკებში ვადაგადაცილებული სესხები 6.7 მლნ ლარით შემცირდა და 397.6 მლნ ლარს გაუტოლდა. ეროვნული ბანკის ინფორმაციით, მათი წილი კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელში 1.6 პროცენტი იყო. ვადაგადაცილებული სესხების 51.9 პროცენტი ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

ამასთან, სებ-ის ცნობით, საანგარიშო პერიოდში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 55.7 პროცენტს გაუტოლდა. რაც შეეხება ონლაინ ორგანიზაციების და სხვა საფინანსო ინსტიტუტების მიმართ ვადაგადაცილებულ დავალიანებებს, ეს სტატისტიკა უცნობია.

**კომერსანტი**

# გიორგი კეპულაძე: „ქართუ“ დავალიანების მხოლოდ 2018 წლის 1 იანვრიდან მქონე პირების სესხებს გამოისყიდის“



„საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი ვალების განულების პროექტის ფარგლებში დასახელებულ რიცხვებს ეჭვქვეშ აყენებს და ინიციატივას პოლიტიკური მოტივაციით ხსნის.

გიორგი კეპულაძე ვარაუდობს, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილი პროექტი არც 600.000 მოქალაქეს შეეხება და არც 1.5 მილიარდი ლარი დაჯდება.

მისი განცხადებით, მოქალაქეების დასახელებული რაოდენობა — 600.000, აღებულია საბანკო ისტორიების ნეგატიური ჩანაწერების, ე.წ. შავი სიების საერთო მონაცემიდან, რომელიც არ მოიცავს მხოლოდ ერთი წლის დავალიანების მქონე პირებს.

— რიგ შემთხვევაში სიებში არიან ადამიანები, ვისაც 5 წელია დავალიანება აქვს. ან ისინი, ვისაც ვალი უკვე გადახდილი აქვს და მაინც შავ სიაში რჩება და ისინიც, ვისაც ისტორია თუნდაც გასული ორი, ან სამი თვის ვადაგადაცილების გამო გაუფუჭდა. რადგან გაცხადდა, რომ „ქართუ“ დავალიანების მხოლოდ 2018 წლის 1 იანვრიდან მქონე პირების სესხებს გამოისყიდის, შეუძლებელია, ეს რაოდენობა მთლიან მონაცემს, ანუ 600 ათასს მოიცავდეს, — აცხადებს გიორგი კეპულაძე.

ამასთან, ის, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარე, ეჭვქვეშ აყენებს პროექტის დასახელებულ ბიუჯეტს 1.5 მილიარდი ლარის მოცულობით.

კეპულაძის განმარტებით, ვადაგადაცილებული სესხების ამ მასშტაბის პორტფელის გამოსყიდვისას ბანკებთან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან მნიშვნელოვანი ფასდაკლებების შესახებ შეთანხმება ხდება. მით უმეტეს მაშინ, როდესაც საუბარია არა მხოლოდ ძირ თანხებზე, არამედ ჯარიმებისა და საურავების გამოსყიდვაზეც.

ორგანიზაცია საზოგადოება და ბანკების ხელმძღვანელი საუბრობს რისკზეც, რომ სესხების განულების პროექტი, რომელსაც თავად საქველმოქმედო აქციას უწოდებს, სამომავლოდ დავალიანების მქონე პირებში გადახდის მოტივაციას შეამცირებს.

გიორგი კეპულაძის შეფასებით ინიციატივა, რომელიც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურამდე რამდენიმე დღით ადრე გაჟღერდა, ეკონომიკურზე მეტად პოლიტიკურ ეფექტზეა გათვლილი.

**პრაიმ ტაიმი**

# მიკროსაფინანსოების ნაწილმა მთავრობის ინიციატივის შესახებ გუშინ გაიგო



სესხების განულებასთან დაკავშირებით 21 ნოემბერს, ეროვნულ ბანკში მიკროსაფინანსო ორგანიზაციებთან შეხვედრა გაიმართა. როგორც ლაზიკა კაპიტალის დირექტორი, „მიკროსაფინანსო ასოციაციის“ თავმჯდომარე ბესო შენგელია „ბიზნესპრესნიუსთან“ აცხადებს, საუბარი შეეხებოდა ინიციატივის ტექნიკურ მხარეს, რომელიც ზოგიერთი მიკროსაფინანსოსთვის გარკვეულ კითხვებს აჩენს.

ამასთან, როგორც ბესო შენგელია აღნიშნავს, მოქალაქეებისთვის დავალიანების ჩამოწერის შესახებ მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ნაწილმა გუშინ გაიგო და მათ „ფონდ ქართუსთან“ მანამდე შეხვედრა არ ჰქონიათ.

— შეხვედრა იყო იმ ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით, რაც ამ ინიციატივას ახლავს. ეს არის ჩვეულებრივი კომერციული შეთანხმება/შეთავაზება, რომელიც ცალკეული ორგანიზაციებისთვის მისაღებია, ვიღაცისთვის - არა. გააჩნია, რა სტრუქტურის პორტფელია, რა არის წილი ვადაგადაცილებული სესხების, მათ შორის, ხანდაზმული სესხების და ა.შ., — აცხადებს ბესო შენგელია.

მისი თქმით, შეთავაზებული პირობები ყველასთვის ერთია, თუმცა ინდივიდუალურია ცალკეული ორგანიზაციების ინტერესი ამ პირობების მიმართ.

— ეს არის კომერციული შეთავაზება, რაც ვიღაცისთვის შეიძლება იყოს მეტი, ან ნაკლები. მაგალითად, ერთ ორგანიზაციას შეიძლება ჰქონდეს ბევრად მეტი წილი ხანდაზმული, ვადაგადაცილებული და ჩამოწერილი სესხების, ვიდრე მეორეს. შესაბამისად, შეძლება, ეს შეთავაზება ერთი ორგანიზაციისთვის იყოს ღირებული, მეორესთვის — არა. გარდა ამისა, კომერციულ მხარეს თუ თავს დავანებებთ, აქ სოციალური მხარეც არის. პირადად ჩემთვის, როგორც პრაქტიკოსისთვის, უხერხულობას იწვევს სხვა საკითხებიც. ისეთი, როგორიცაა, სხვა მსესხებლებთან მიმართებით გადაწყვეტილების სისწორე. მაგალითად, თქვენ შეიძლება გქონდეთ 5 პარალელური სესხი რამდენიმე ორგანიზაციაში და თითოეული სესხის ნაშთი არ აღემატებოდეს 2.000 ლარს, ინიციატივის კრიტერიუმებში ჯდებოდეს, შესაბამისად, გაგიმართლოთ და ყველა ორგანიზაციამ თქვენი სესხი მოათავსოს შესაბამის პაკეტში. ჯამში 10.000 ლარის ჩამოწერა მოხდეს. თუმცა, აუცილებლად იქნება მსესხებელი, ვისაც ვადაგადაცილებაში აქვს ერთი 10.000 ლარიანი მიმდინარე სესხი, მაგრამ ის ვერ ჩაჯდება ამ კრიტერიუმებში. მისთვის რთული იქნება ახსნა, სხვას რატომ გაუნულდა ჯამში მისივე სესხის ოდენობის თანხა და მას არა. ჩემ შემთხვევაშიც, თუ მივიღებ გადაწყვეტილებას, უხერხულობას ვიგრძნობ, კეთილსინდისიერი ან წარმატებული გადამხდელების მიმართ. გამოდის, რომ მათ მეტი ხარჯის გაწევა უწევთ სესხის აღებისას, ვიდრე ურჩ, არაკეთილსინდისიერ გადამხდელს ან უბრალოდ იმ კეთილსინდისიერს, ვისაც პრობლემები შეექმნა საქმიანობაში, — აცხადებს ბესო შენგელია.

მისივე თქმით, ინიციატივა კარგია, თუმცა ისევე, როგორც მედალს, მასაც ორი მხარე აქვს და გარკვეულ უხერხულობებს არ უნდა ქმნიდეს.

— ინიციატივის კარგი მხარეა ის მსესხებლები, ვისაც მართლა არ გაუმართლა საქმიანობაში (არ ვგულისხმობ ურჩ გადამხდელებს). ამით მათ საშუალება ეძლევათ, რომ დაუბრუნდნენ თავის ცხოვრებას და ეკონომიკური საქმიანობა გააგრძელონ, თუმცა, როგორც ხშირად ხდება, მედალს ორი მხარე აქვს და რაზეც მოგახსენეთ მსგავსი უხერხულობებიც იქმნება, — აცხადებს ბესო შენგელია.

როგორც „მიკროსაფინანსო ასოციაციის“ ხელმძღვანელი აღნიშნავს, ორგანიზაციების ნაწილმა ინიციატივის შესახებ მხოლოდ გუშინ გაიგო, შესაბამისად, ვისთვის აღმოჩნდება მისაღები და ვისთვის არა, ეს მხოლოდ მაშინ გახდება ცნობილი, როდესაც მოქალაქეების შავი სიიდან ამოღება მოხდება.

— შეიძლება ყველა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის გადაწყვეტილების შესახებ არც გახდეს ცნობილი, რადგან ეს არის კომერციული შეთანხმება მხარეებს შორის. ამ შემთხვევაში, ორგანიზაციასა და „ფონდ ქართუს“ შორის ინფორმაციამ ჩვენამდე არც მოაღწიოს. გავიგებთ მაშინ, როდესაც ეს შეთანხმებები შედგება და მოხდება ადამიანებისთვის დავალიანებების განულება და შავი სიებიდან ამოღება.

შეხვედრა ატარებდა საინფორმაციო ხასიათს, რადგან დასაკონკრეტებელი იყო ცალკეული ტექნიკური დეტალები. ვესწრებოდით ასოციაციის წვერები, ასევე, ცაკლეული მიკროსაფინანსოსები, ვინც არ არიან ასოციაციის წევრები და ონლაინ სესხების წარმომადგენლები. რაც შეეხება „ფონდ ქართუსთან“ მოლაპარაკებებს, ჩვენ საერთოდ არ გვქონია. ინიციატივის შესახებაც გუშინ გავიგეთ, ისევე, როგორც ასოციაციის ბევრმა წევრმა, — აცხადებს ბესო შენგელია.

**ბპნ**

# „მოვალეთა რეესტრი ეროვნული ბანკის გამგებლობის ქვეშ გადავა“



„მოვალეთა რეესტრი გადავა ეროვნული ბანკის გამგებლობის ქვეშ. „შავი სია“ აღარ იქნება ქვეყანაში“, — ამის შესახებ „ქართული ოცნების“ წევრმა, პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ, აკაკი ზოიძემ, „პალიტრანიუსის“ გადაცემაში — „360 გრადუსი“ განაცხადა.

მისივე ინფორმაციით, მოვალეთა რეესტრში ამჟამად 750 000 მოვალეა და მის რეგულირებას 1-ელი იანვრიდან ეროვნული ბანკი მოახდენს.

ზოიძის თქმით, შავი სიიდან ამოღებით მოქალაქეებს ეძლევათ შანსი, ეკონომიკურ ცხოვრებას დაუბრუნდნენ, ხოლო 1-ელი იანვრიდან ასამოქმედებელი რეგულაციები ემსახურება იმას, რომ ადამიანებმა აღარ აიღონ სესხი, თუკი მისი გადახდა არ შეუძლიათ.

— ძირითად ორგანიზაციებთან მიღწეულია შეთანხმება, დანარჩენ მიკროსაფინანსოებთან მოლაპარაკება მიმდინარეობს. საბოლოო პირობები ჩამოყალიბდება და 3 დეკემბრისთვის უკვე გვეცოდინება, რეალურად რა პარამეტრებზეა საუბარი. ვთვლით, რომ 600.000-ზე მეტ ადამიანზე უკვე მიღწეულია შეთანხმება.

საუბარია 2.000 ლარამდე სესხზე (რაც არის პრინციპული თანხა, ნარჩენი ან თავიდან აღებული, მნიშვნელობა არ აქვს საჯარიმო საურავებს და ა.შ.), რომელზეც ბოლო 1 წლის განმავლობაში გადახდა არ ფიქსირდება. ესენი ის ადამიანები არიან, ვინც გადაიწურეს იმედი, გამოთიშული არიან ეკონომიკურ საქმიანობას და პრაქტიკულად, არალეგალურ ეკონომიკურ საქმიანობას ეწევიან. სწორედ მათ მივცემთ მეორე შანსს. როგორ გამოიყენებენ, ეს მათზეა დამოკიდებული. გარდა ამისა, ჩვენ, როგორც პასუხისმგებლიანი მთავრობა, ვიღებთ რეგულაციებს, რათა ეს შანსი ბოროტად არ გამოიყენონ და აღარ აიღონ სესხი, რომელსაც ვერ გადაიხდიან, — განაცხადა აკაკი ზოიძემ.

**BPN.GE**

## მიხეილ გიორგაძე თურქეთის კლინიკაში გადაიყვანეს



განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე მიხეილ გიორგაძე ინგოროყვას კლინიკიდან თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს.

– მიხეილ გიორგაძის მდგომარეობა არ გართულებულა, ჩვეულებრივ სტაბილურია. იგი თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს, – აცხადებენ სამინისტროს პრესსამსახურში.

მიხეილ გიორგაძეს ავარიის შედეგად თავის ტვინის დაჟეჟილობა, გულმკერდის დახურული ტრავმა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა და მენჯის ძვლის მოტეხილობა აღენიშნება.

მიხეილ გიორგაძე ავარიაში 18 ნოემბერს მოყვა. შემთხვევა ყვარელში მოხდა.

## ზედა ვანში საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოინგრა



### დაიღუპა მამაკაცი

ვანის მუნიციპალიტეტის სოფელ ზედა ვანში საცხოვრებელი სახლის კედელი ჩამოინგრა, რის შედეგადაც მამაკაცი გარდაიცვალა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 240-ე მუხლით დაიწყო, რაც სამთო, სამშენებლო ან სხვა სამუშაოს წარმოებისას უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## ხეთაში ხანძრისას კიდევ ერთი დაშავებული, 66 წლის ქალი გარდაიცვალა



ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ხეთაში ხანძრისას კიდევ ერთი დაშავებული, 66 წლის ქალი გარდაიცვალა.

მანამდე კი საცხოვრებელ სახლში გაჩენილი ხანძრის შედეგად დაშავებული 67 წლის მამაკაცი თბილისის დამწვრობის ცენტრში 20 ნოემბერს გარდაიცვალა.

შემთხვევის შედეგად სულ 7 ადამიანი დაშავდა, მათ შორის 2 მცირეწლოვანიც. დამწვრობის სიმძიმიდან გამომდინარე, საჭირო გახდა 5 დაშავებულის თბილისში გადმოყვანა. ერთ-ერთი ვერსიით, ცეცხლი აფეთქებას მოჰყვა.

როგორც ადგილობრივები ყვებიან, სახლში არავინ იმყოფებოდა, ოჯახის წევრების დაბრუნების შემდეგ კი, როცა სინათლე აანთეს, აფეთქება მოხდა.

## პროკურატურა: „ეკა გიგაურმა და ირმა პავლიაშვილმა მნიშვნელოვანი ინფორმაციის მიწოდებაზე უარი თქვეს“



საქართველოს მთავარ პროკურატურაში ყალბი პირადობის მოწმობების შესაძლო დამზადების ფაქტზე მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, მოწმის სახით გამოკითხვაზე იმყოფებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ აღმასრულებელი დირექტორი ეკა გიგაური და „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აღმასრულებელი დირექტორი ირმა პავლიაშვილი.

„სრულყოფილი გამოძიების უზრუნველსაყოფად, მოწმეებს დაესვათ შეკითხვები მათ მიერ საჯაროდ გავრცელებულ ინფორმაციაზე, მათ შორის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოში დასაქმებულ იმ თანამშრომელზე, რომელმაც არასამთავრობო ორგანიზაციებს სააგენტოს მაღალი თანამდებობის პირების ხელმძღვანელობით, სავარაუდოდ, ყალბი პირადობის მოწმობების დამზადების თაობაზე აცნობა.

ამ ინფორმაციას, სრულყოფილი გამოძიებისთვის აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, რადგან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 75-ე, 76-ე მუხლების თანახმად, მოწმის ჩვენება მტკიცებულება ვერ იქნება, თუ იგი ვერ მიუთითებს წარმოდგენილი ინფორმაციის წყაროს. ამასთან ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ირიბი ჩვენების მიმცემი პირი (ეკა გიგაური) მიუთითებს ინფორმაციის წყაროს, რომლის იდენტიფიცირება და რეალურად არსებობის შემოწმება შესაძლებელია.

მიუხედავად ამისა, გამოძიების ინტერესების საზიანოდ, ეკა გიგაურმა უარი განაცხადა ინფორმაციის წყაროს მოწოდებაზე და მიზეზად ამ პირის უსაფრთხოება დაასახელა. ამასთან დაკავშირებით მას განემარტა, რომ საგამოძიებო ორგანო მზადაა, ამ პირის უსაფრთხოების დაცვის მიზნით გამოიყენოს სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის დაცვის სპეციალური ღონისძიებები.

მიუხედავად ამ შეთავაზებისა, ეკა გიგაურმა კვლავ უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე. მან ასევე უარი განაცხადა გამოძიებისთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მის მიერ ნახსენები თათბირის გამართვის ადგილმდებარეობის და მასში მონაწილე პირების, ასევე ვიდეოკამერების განთავსების ადგილის თაობაზე.

გამოკითხვისას ეკა გიგაური შემოიფარგლა მხოლოდ იმ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მოწოდებით, რაც უკვე გასაჯაროვდა მედიასაშუალებების მიერ.

ანალოგიურად უარი განაცხადა ინფორმაციის მიწოდებაზე არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ აღმასრულებელმა დირექტორმა ირმა პავლიაშვილმა, რომელიც ასევე შემოიფარგლა მხოლოდ ზოგადი ხასიათის ინფორმაციის მიწოდებით.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 50-ე მუხლი ამომწურავად განსაზღვრავს იმ პირთა ჩამონათვალს, ვისაც საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის გადაცემის ვალდებულება არ ეკისრება, ასეთები არიან: ადვოკატი, სასულიერო პირი, სახალხო დამცველი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი, ჟურნალისტი და სხვა. მითითებული ჩამონათვალი ამომწურავია და მასში არ არის დასახელებული არასამთავრობო ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი.

ამდენად სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ავალდებულებს მოწმეს, საგამოძიებო ორგანოს სრულად მიაწოდოს მის ხელთ არსებული საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

მიუხედავად საკანონმდებლო ვალდებულებისა, ეკა გიგაურმა უარი განაცხადა ინფორმაციის მოწოდებაზე, რაც საგამოძიებო ორგანოს მიერ აღქმული იქნა, როგორც მოწმის უარი, ნებაყოფლობით მიეწოდებინა მის ხელთ არსებული ინფორმაცია.

აქედან გამომდინარე, პროკურატურა იმსჯელებს სასამართლოსთვის შუამდგომლობით მიმართვის შესახებ, მაგისტრატი მოსამართლის წინაშე დასახელებულ მოწმეთა დაკითხვის თაობაზე, – აცხადებენ პროკურატურაში.

## ზუგდიდის სასამართლომ პოლიციელი ლემონჯავა პატიმრობაში დატოვა




გუშინ, 21 ნოემბერს, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ 23 ივლისს ფოთში მომხდარი მკვლელობის ფაქტზე დაკავებული, უკვე ყოფილი ინსპექტორ-გამომძიებლის ჭაბუკა ლემონჯავას საქმის არსებითი განხილვა დაიწყო.

პროცესზე მხარეებმა შესავალი სიტყვები წარმოთქვეს.

ბრალდების მხარის მტკიცებით, ლემონჯავამ სამსახურებრივ უფლებამოსილებას გადააჭარბა, რამაც ერთი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

– არსებობს მტკიცებულებები, აუდიო და ვიდეო ჩანაწერები, მოწმის ჩვენებები, წერილობითი და ექსპერტიზის დასკვნები, რომლებიც ჭაბუკა ლემონჯავას ბრალეულობას ამტკიცებს, – განაცხადა სასამართლო სხდომაზე პროკურორმა დავით პაპავამ.

ბრალდებულის ადვოკატ სოსო ჯანაშიას მიაჩნია, რომ მტკიცებულებები, რომლებიც პროკურატურას გააჩნია, ლემონჯავას უდანაშაულობას ამტკიცებს. გარდა ამისა, არსებობს ორი პირდაპირი მოწმე, რომელიც ამ ფაქტის უშუალო თვითმხილველია.

ადვოკატი მიიჩნევს, რომ ლემონჯავას რამდენიმეთვიან წინასწარ პატიმრობაში ყოფნა და პროკურატურის პოზიცია სხვა პოლიციელებს მოტივაციას უკარგავს.

– როდესაც პროკურატურა ამბობს, რომ ბრალდებულმა არ გამოიჩინა წინდახედულება, როდესაც ის თავს იცავდა და მოქმედებდა აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, მოტივაციას უკარგავს სხვა თანამშრომლებს. დამნაშავემ ლემონჯავას ბლაგვი საგნით დაზიანება მიაყენა, რის გამოც ის საავადმყოფოში იმყოფებოდა. ამის შესაბამისი სამედიცინო დასკვნაც არსებობს. დამნაშავემ მესამეჯერაც სცადა ჩაერტყა პოლიციელისთვის, რომლის დროსაც ლემონჯავამ თავდაცვის მიზნით ესროლა მას, – აღნიშნა ჯანაშიამ.

სასამართლო პროცესზე მხარეებმა ასევე იმსჯელეს აღკვეთის ღონისძიების შეცვლასთან დაკავშირებით, თუმცა მოსამართლე შოთა ბიჭიამ ბრალდებული კვლავ პატიმრობაში დატოვა.

– სასამართლოს ჯერ არ დაუწყია საქმეში არსებული მტკიცებულების განხილვა, როდესაც სასამართლოს მიერ არ დაკითხულა არც ერთი მოწმე. მიმაჩნია, რომ არ უნდა შეიცვალოს აღკვეთის ღონისძიება. მნიშვნელოვანია, რომ თითოეული მოწმის ჩვენება იყოს ობიექტური და არ მოხდეს ამ პირებთან ზედმეტი კონტაქტი, რადგან შეიძლება მცირე დეტალმაც კი ზეგავლენა მოახდინოს საქმეზე, – განმარტა პროცესზე მოსამართლემ.

შემდეგი სხდომა, რომელზეც მოწმეები დაიკითხებიან, 2019 წლის იანვარში გაიმართება.

23 ივლისს მამაკაცს სწრაფი ჩარიცხვის აპარატის გაქურდვის მცდელობის დროს სამართალდამცავმა, სავარაუდოდ, წინააღმდეგობის გაწევისას ესროლა, რის შედეგად, ის ზუგდიდის საავადმყოფოში გარდაიცვალა. საქმეზე გამოძიება სს კოდექსის 333-ე მუხლის 3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებას ძალადობით, ან იარაღის გამოყენებით.

## კახა საბანაძე: „იაგო ნებიერიძის ჩვენებით, ზაქრო ბერძნიშვილის საქმეზე დოკუმენტური მასალა ვიპოვეთ“



შინაგან საქმეთა მინისტრის პირველმა მოადგილემ, კახა საბანაძემ, 2004 წელს გორში გაუჩინარებული მოზარდის საქმესთან დაკავშირებით თქვა, რომ ამოღებულია დოკუმენტური მასალა.

საბანაძე ამბობს, რომ დამატებით გამოიკითხა ბრალდებული იაგო ნებიერიძე და ჩატარდა საგამოძიებო ექსპერიმენტი.

– იაგო ნებიერიძის ჩვენების ფარგლებში ჩატარდა დამატებითი საგამოძიებო ექსპერიმენტი, დავათვალიერეთ მითითებული ადგილი და ავიღეთ დოკუმენტური მასალა. ამჟამად მიმდინარეობს ამ დოკუმენტური მასალის დამუშავება. რა დრო დასჭირდება, ზუსტად ვერ ვიტყვით, – აცხადებს მინისტრის მოადგილე.

იაგო ნებიერიძე გორში 8 წლის გოგოს მკვლელობის ბრალდებით არის დაკავებული.

14 წლის წინ გაუჩინარებული ბავშვის შესახებ ინფორმაციამ ხელახლა, 8 წლის ნანა ბერიაშვილის მკვლელობის შემდეგ გაიჟღერა. 11 წლის ზაქრო ბერძნიშვილი გორში, 2004 წლის 1 ნოემბერს გაუჩინარდა. ოჯახს უცნობმა პირებმა გამოსასყიდი მოსთხოვეს. გაუჩინარებული ზაქრო ბერძნიშვილის საქმეში ფულის გამოძალვის ბრალდებით იაგო ნებიერიძე იხდიდა სასჯელს.

დაკარგული მოზარდის დედა ხათუნა ნოზაძე ვარაუდობს, რომ საქმეში იაგო ნებიერიძე ფიგურირებს, მაგრამ მას გამოძიებამ თავის დროზე ბრალი სხვა მუხლით წაუყენა.

გორის ცენტრში სამძებრო ღონისძიებები რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

## ზუგდიდში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს

ზუგდიდში, კომბინატის დასახლებაში ახალგაზრდა მამაკაცი დაჭრეს.

წინასწარი ინფორმაციით, მოქალაქეს გადაჭრილი თოფიდან მუცლის არეში ესროლეს.

მამაკაცს ზუგდიდის რეფერალურ საავადმყოფოში გადაუდებელი ოპერაცია ჩაუტარდა.




## ბაღდათში ჭაში ჩავარდნილი მამაკაცი გარდაცვლილი ამოასვენეს



ბაღდათის რაიონის სოფელი ოფჩაში, საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის მაშველებმა, 12-საათიანი სამაშველო ღონისძიების შედეგად ჭაში ჩავარდნილი მამაკაცის ცხედარი ამოასვენეს.

43 წლის მამაკაცი ჭის გაწმენდით სამუშაოებს აწარმოებდა, როდესაც ჩამოწოლილმა მიწის მასამ ქვეშ მოიყოლა.

საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ინფორმაციით, სამაშველო ღონისძიებისას არსებობდა მიწის მასის ჩამოშლის დამატებითი საშიშროება, რაც საფრთხეს უქმნიდა მაშველების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, რის გამოც პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა 15-მეტრიანი ჭის ჯებირების გამაგრებითი სამუშაოები.

ადგილზე მუშაობდა 3 სახანძრო-სამაშველო ჯგუფი.


## მალამო „მენტორი პირველი“

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი“ გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რავმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოლოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21

# პეტრო პოროშენკო ჩერკასში ჩავიდა



უკრაინის პრეზიდენტი პეტრო პოროშენკო ჩერკასში ჩავიდა. ის იქაურ სამღვდელოებას და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შეხვდა.

საზოგადოებასთან შეხვედრისას პოროშენკომ კვლავ გაიმეორა, რომ ერთიანი უკრაინული მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია აუცილებლად შეიქმნება.

– უკრაინელთა აბსოლუტური უმრავლესობა ასეთი ეკლესიის შექმნას მხარს უჭერს, – თქვა პოროშენკომ.

# 14 წლის გოგონამ პუტინს წერილი მისწერა და თავი მოიკლა

ქალაქ სოფრონოვოს (სმოლენსკის ოლქი) მკვიდრმა 14 წლის ნატაშამ პუტინს წერილი მისწერა. ბავშვი წერდა, რომ დედას პატარა ხელფასი აქვს და ძალიან უჭირთ. ამის შემდეგ დედამისი, რომელიც საავადმყოფოში სანიტრად მუშაობდა, დირექტორმა გამოიძახა და მაგრად გამოლანძღა.



დედამ ნატაშა მკაცრად დასაჯა. ბავშვმაც თავი მოიკლა. თვითმკვლელობა თანაკლასელთა მხრივ შევიწროებამაც განაპირობა. ნატაშას მხედველობა ჰქონდა დაზიანებული. თანაკლასელებმა ციკლოპი შეარქვეს და დასცინოდნენ.

სიკვდილის წინ ბავშვმა ბარათი დატოვა, სადაც წერს, რომ არავის ადანაშაულებს.

# კალიფორნიაში ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 84-მდე გაიზარდა

კალიფორნიაში მასშტაბური ხანძრის შედეგად დაღუპულთა რიცხვი 84-მდე გაიზარდა. 870 ადამიანი კი უგზო-უკვლოდ დაკარგულად ითვლება.

ტყის ხანძარი ჩრდილოეთ კალიფორნიაში 8 ნოემბერს გაჩნდა.

ბოლო მონაცემებით, ხანძრის გავრცელების ფართობი 59 ათას ჰექტარს შეადგენს. ხანძრის შედეგად 8 ათასამდე ნაგებობაა განადგურებული.




ეს კალიფორნიის შტატის ისტორიაში ყველაზე გამანადგურებელი ხანძარია.

საერთო ჯამში, კალიფორნიაში 300 ათასი ადამიანის ევაკუაცია განხორციელდა.

აქამდე ყველაზე გამანადგურებელი ხანძარი კალიფორნიის შტატში 2017 წელს დაფიქსირდა. მაშინ ხანძრის შედეგად 5,5 ათასი ნაგებობა განადგურდა, ხოლო ხანძრის გავრცელების ფართობმა 15 ათასი ჰექტარი შეადგინა.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# ინტერპოლის პრეზიდენტად სამხრეთკორეელი კიმ ჩენ იანგი აირჩიეს




ინტერპოლის პრეზიდენტად სამხრეთ კორეის წარმომადგენელი კიმ ჩენ იანგი აირჩიეს. ამის შესახებ ინფორმაცია ორგანიზაციის „ტვიტერის“ ოფიციალურ გვერდზე გამოქვეყნდა.

კიმ ჩენ იანგი ინტერპოლის პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი იყო. ის ორგანიზაციის პრეზიდენტად გუშინ, 21 ნოემბერს, ინტერპოლის გენერალური ასამბლეის 87-ე სესიაზე აირჩიეს, რომელიც დუბაიში გაიმართა.

ამ პოსტზე მისი მოწინააღმდეგე რუსეთის წარმომადგენელი ალექსანდრე პროკოპჩუკი იყო.

მისი კანდიდატურის წამოყენებას უარყოფითი რეაქცია მოჰყვა. უკრაინა და ლიეტუვა ორგანიზაციის დატოვებით იმუქრებოდნენ, თუ რუსეთის წარმომადგენელი ამ პოსტზე იქნებოდა არჩეული.

ინტერპოლის ყოფილი პრეზიდენტი, ჩინელი მენ ჰუნვეი 29 სექტემბერს საფრანგეთიდან ჩინეთში გაემგზავრა, რის შემდეგაც გაუჩინარდა.

მოგვიანებით ოფიციალურმა პეკინმა დაადასტურა, რომ ინტერპოლის პრეზიდენტი დაკავებულია და მას ქრთამის აღებაში ადანაშაულებენ. იმავე დღეს ინტერპოლმა მენ ჰუნვეი თანამდებობიდან მისივე თხოვნის საფუძველზე გაათავისუფლა.

# ტრამპი: „საუდის არაბეთთან ურთიერთობის დაძაბვა რუსეთ-ჩინეთის ინტერესებშია“



აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ საუდის არაბეთის მემკვიდრე პრინცის მუჰამად სალმანის დადანაშაულება ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობაში ამერიკის ეროვნულ ინტერესებს ზიანს მიაყენებს.

პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა, რომ ამას აშშ-ისა და საუდის არაბეთს შორის ურთიერთობის გაუარესება მოჰყვება.

– ჩვენი და საუდის არაბეთის ურთიერთობების გაუარესება რუსეთის და ჩინეთის ინტერესებშია! ასეთ საჩუქარს ისინი ვერ ეღირსებიან! – თქვა ტრამპმა.

ამასობაში თურქეთის ნაციონალისტური მოძრაობის ლიდერმა ბაჰჩელიმ თქვა, რომ ჟურნალისტ ჰაშოგის მკვლელობა კარგად ორგანიზებული აქციაა და კვალი პრინც მუჰამად სალმანისკენ მიდის.

– მუჰამად სალმანსა და უსამა ბინ ლადენს შორის განსხვავებას ვერ ვხედავ, – განაცხადა ბაჰჩელმა.

თურქეთის ნაციონალისტური მოძრაობა პრეზიდენტ ერდოღანის მოკავშირე ძალაა. ერდოღანი ჰაშოგის მკვლელობაში საუდის არაბეთის ხელისუფლებას სდებდა ბრალს, თუმცა კონკრეტულ გვარებს არ ასახელებდა.

ბაჰჩელი უფრო კონკრეტული აღმოჩნდა. მან პირდაპირ პრინცისკენ გაიშვირა თითი.

# ქაბულში ქორწინების სახლი ააფეთქეს



ავღანეთში ტერაქტები არ წყდება. ამჯერად თვითმკვლელმა ტერორისტმა ქაბულის ქორწინების სახლთან აიფეთქა თავი. ამ დროს ქორწინების სახლში წინასწარმეტყველ მუჰამედის დაბადებასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიება მიმდინარეობდა.

აფეთქების შედეგად 40-მდე ადამიანი დაიღუპა, 100-მდე დაიჭრა. დაიღუპა თავად ტერორისტიც.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**

**☎ 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

## სხვადასხვა

- შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.
- სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

- მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.
- ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.
- კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.
- მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.
- სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.
- მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.
- ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.
- ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ტოტენჰემი ჩაკვეტაძეში ერიქსენის შემცვლელს ხედავს



ესპანური მედია არ ეშვება ქართველ ფეხბურთელ გიორგი ჩაკვეტაძეს. თუ პირინეელი ჟურნალისტები აქამდე მხოლოდ იმიტომ იყვნენ დაინტერესებულნი, რომ ჩაკვეტაძის შეძენით ბარსელონა იყო დაინტერესებული, ახლა მთავარ ფავორიტად ტოტენჰემს მიიჩნევენ.

საქმე ის არის, რომ ინგლისურმა ტოტენჰემმა ბელგიური გენტის ქართველი ნახევარმცველის შესაძენად რამდენიმე ნაბიჯი გადადგა.

ტოტენჰემის დაინტერესება იმაზე დიდია, ვიდრე სხვა გუნდების, რადგან ისინი ქართველ ფეხბურთელს დანიელი კრისტიან ერიქსენის შემცვლელად მიიჩნევენ.

საქმე ის არის, რომ ერიქსენის გადაბირებით მადრიდის რეალი არის დაინტერესებული, ბუნებრივია, ტოტენჰემს დანიელის შემცვლელის შეძენა დასჭირდება. მაურისიო პოჩეტინო კი ახალგაზრდა ფეხბურთელებთან წარმატებული მუშაობით განთქმული გახლავთ. ყველას კარგად ახსოვს, თუ როგორ დაეხმარა ის დელე ალის, ერიკ დაიერსა და ჰარი ვინკსს. ვის, ვის და პოჩეტინოს ახალგაზრდებთან მუშაობა ნამდვილად არ ეშლება.

ტოტენჰემის გარდა, ჩაკვეტაძე ბარსელონას, ბაიერნს, რომას, ბორნმუთსა და შახტარს აინტერესებს.

# ტორპედო წაუგებელ სერიას აგრძელებს



**ჩიხურა-ტორპედო 0:2**

**ივანწმინდა.** ცენტრალური

0:1 დოლიძე (4), 0:2 კაპანაძე (15)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, მირცხულავა, ჩიკვაიძე, მაისაშვილი, კაკუბავა, მარკოზაშვილი, გაბედავა, ლექვთაძე, ბულრიძე, სარდალიშვილი (იონანიძე 76), დობროვოლსკი (ჩიხლაძე 62)

**ტორპედო:** კვასხვაძე, ცინცაძე, კაპანაძე, აზაცკი, გეგეჭკორი, კუტალია, დოლიძე (დაფე 70), ქიმაძე (კუხიანიძე 80), მარინი (ხურცილავა 46), კობახიძე, გიგაური

**გაძევება:** კაკუბავა (72)

ეს მატჩი უქმეებზე უნდა გამართულიყო, მაგრამ ქუთაისის ტორპედო 25 ნოემბერს თასის ფინალი აქვს სათამაშო, ამიტომაც სხვებზე ადრე გაიმართა.

ორივე გუნდი საპრიზო ადგილებისთვის იბრძვის, ამიტომაც დაძაბულ და საინტერესო ბრძოლას ველოდით. ასეც მოხდა, თუმცა ინტრიგა მალევე მოკვდა.

უკვე მე-15 წუთზე ტორპედო 2:0 დაწინაურდა: პირველი გოლი საჩხერელების კარში მე-4 წუთზე გრიგოლ დოლიძემ თორნიკე კაპანაძის პასით გაიტანა, ხოლო თავად თორნიკემ მე-15 წუთზე ულამაზესი მაკრატელათი შანსი არ დაუტოვა დინო ჰამზიჩს.

დარჩენილ დროში ტორპედოს გამარჯვებამდე საქმის მიყვანა აღარ გასჭირვებია. აღსანიშნავია, რომ ტორპედო სხვადასხვა ტურნირებზე 18 მატჩია წაუგებელია.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.საბურთალო | 32 | 22 | 5 | 5 | 58-27 | 71 |
| 2.დინამო | 32 | 19 | 6 | 7 | 64-32 | 63 |
| 3.ტორპედო | 33 | 18 | 8 | 7 | 59-25 | 62 |
| 4.ჩიხურა | 33 | 17 | 6 | 10 | 50-31 | 57 |
| 5.დილა | 32 | 14 | 11 | 7 | 51-39 | 53 |
| 6.ლოკომოტივი | 32 | 9 | 8 | 15 | 35-49 | 35 |
| 7.სიონი | 32 | 8 | 7 | 17 | 35-53 | 31 |
| 8.რუსთავი | 32 | 6 | 12 | 14 | 29-43 | 30 |
| 9.სამტრედია | 32 | 4 | 9 | 19 | 26-69 | 21 |
| 10.კოლხეთი | 32 | 4 | 8 | 20 | 25-64 | 14 |

**შენიშვნა:** კოლხეთს დაკლებული აქვს 6 ქულა

# ლეონ გორეცკა: „მეორეხარისხოვანია, რა მოხდა გასულ კვირას“



გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის ბაიერნის ნახევარმცველი ლეონ გორეცკა ჟურნალისტების „მსხვერპლი“ გახდა და ბავარიულ კლუბში გადასვლის შემდეგ პირველი ინტერვიუც ჩაწერა.

***– შენ მიერ ვარჯიშზე გატანილი ულამაზესი გოლი, კიდევ ერთი მტკიცებულებაა იმისა, რომ ბაიერნში ადაპტაცია წარმატებით გაიარე. გქონდა დრო ქალაქში სეირნობისათვის?***

– სამწუხაროდ, ამისთვის საჭირო დრო ჯერ კიდევ არ მქონია, თუმცა, როდესაც მცირე თავისუფალი დრო მეძლეოდა, ქალაქში ვრჩებოდი. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია, სადაც ცხოვრობ, იქაურობასთან საკუთარი თავის იდენტიფიკაცია მოახდინო და გაიცნო ის ადამიანები, რომლებიც შენს გვერდით იქნებიან. აქ ადამიანები ძალზე მეგობრულები არიან, იმ რაიონებში, სადაც მე გახლდით, უამრავი ახალგაზრდა ვნახე. ეს უაღრესად საინტერესო იყო.

***– მშობლიური სახლიდან ასე შორს პირველად დასახლდი. რა არის ის, რაც ყველაზე მეტად არ გყოფნის?***

– როდესაც სახლიდან შორს აღმოჩნდები, ყოველთვის არის რაღაც, რაც გაკლია. მაგალითად, მეგობრები. სულ რამდენიმე ხნის წინ იდეალურ გარემოში ვცხოვრობდი, რადგანაც ვიმყოფებოდი სახლში, სადაც გავიზარდე. თითოეული ჩემი მეგობარი მუდამ ჩემ გვერდით იყო. მიუხედავად ამისა, ჩემი ეს ნაბიჯი გააზრებულად გადავდგი. ეს უმნიშვნელოვანესი იყო ჩემი შემდგომი განვითარებისათვის. ჩემი მეგობრები მიუნხენში მესტუმრნენ კიდეც, ასევე

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# რა მოგვცა და რა დაგვიტოვა ერთა თასმა




დასრულდა ერთა ლიგის ჯგუფური ეტაპი და გვინდა ეს ახალი ტურნირი მიმოვიხილოთ. ცხადია, დავიწყებთ ყველაზე დაბალი დივიზიონით, სადაც საქართველოს ნაკრები მონაწილეობდა.

ვლადიმირ ვაისის გუნდმა დ დივიზიონის ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა და ც დივიზიონში აღზევდა. ამასთან, ფლეი ოფში საუკეთესო პირველ ადგილოსნის სტატუსით გავიდა და 2020 წლის მარტში, ნახევარფინალში ბელარუსს უმასპინძლებს. მეორე ნახევარფინალურ წყვილში კი, ურთიერთობას მაკედონიისა და კოსოვოს ნაკრებები გაარკვევენ. აქ მასპინძელი მაკედონია იქნება.

გეტყვით, რომ საქართველომ, ბელარუსმა, მაკედონიამ და კოსოვომ თავიანთი ჯგუფები მოიგეს, დივიზიონით მაღლა დაწინაურდნენ და ევროპის ჩემპიონატზე გამსვლელ ერთ საგზურად ეცილებიან ერთმანეთს.

საქართველო რომ საუკეთესო პირველადგილოსნით გავიდა, გითხარით. მე-2 შედეგი ჰქონდა მაკედონიას, რომელმაც 6 მატჩიდან 5 მოიგო და 1 წააგო (0:4 სომხეთთან).

კოსოვომ და ბელარუსმა 4-4 მატჩი მოიგეს და 2-2 ფრედ დაასრულეს. ეს მაჩვენებელი თანაბარი ჰქონდათ, მაგრამ ბურთების უკეთესი სხვაობით მე-3 ადგილი და მაკედონიასთან შეხვედრა კოსოვოს ერგო, ხოლო ბელარუსი ჩვენ დაგვრჩა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბელარუსის ნაკრებს ჯგუფურ ეტაპზე გოლი არ გაუშვია. ნაკრებში ფეხბურთელთა ძირითადი ნაწილი ბელარუსის ეროვნულ ჩემპიონატზე მოდის, ერთა ლიგაზე გამოძახებულ ფეხბურთელთაგან მხოლოდ 7 ლეგიონერი იყო. 10 ფეხბურთელი ბორისოვის ბატეს შემადგენლობიდან იყო. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ მეტოქის გუნდი საკმაოდ ხანდაზმულია (საშუალო ასაკი 29.7) და არ არის გამორიცხული საქართველოს ნაკრებთან შეხვედრამდე გაახალგაზრდავების პროცესი დაიწყოს.

აქამდე საქართველოსა და ბელარუსის ნაკრები სულ 3-ჯერ შეხვდნენ ერთმანეთს, თითო მატჩი ორივე გუნდმა მოიგო და ერთიც ფრედ დასრულდა. ბურთების შეფარდება 3:4-ზე.

2014 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე შინ 1:0 დავამარცხეთ მეტოქე, მინსკში კი 0:2 წავაგეთ. ბოლოს 2017 წელს ქუთაისში ამხანაგურად გავეჯიბრეთ და ამხანაგური ანგარიშით (2:2) დასრულდა.

ცხადია, ეს ქვედა დივიზიონი იყო და ამ დივიზიონიდან არავინ დაქვეითებულა.

მივყვეთ სხვა დივიზიონებს:

## ა ლიგა

პირველი ჯგუფი ყველაზე გამორჩეული იყო. აქ თავი სამმა ისეთმა გუნდმა მოიყარა, როგორებიც არიან გერმანია, საფრანგეთი და ჰოლანდია. ცოტა გერმანია ჩანდა ფორმიდან ამოვარდნილი, მართალია, ბოლომდე იბრძოლა, მაგრამ ელიტარულ ლიგას დაემშვიდობა და მომავალ ერთა თასზე ბ ლიგაში ითამაშებს.

საფრანგეთმა და ჰოლანდიამ ბოლო წუთამდე არ იცოდნენ, ვინ გავიდოდა ნახევარფინალის ფლეი ოფში. საბოლოოდ, ეს პატივი ჰოლანდიას ერგო და ახალი ტურნირის პირველი გამარჯვებულის სახელისთვის გააგრძელებს ბრძოლას.

საინტერესო და სენსაციური გამოდგა მე-2 ჯგუფი, სადაც ბელგია, შვეიცარია და ისლანდია მოხვდა. ისლანდიელებს ორივე გუნდმა მალევე დაანახა, რომ მისი ადგილი ბ ლიგაშია, ხოლო ფლეი ოფის საგზური ბელგიამ და შვეიცარიამ ერთმანეთში გადაწყვიტეს.

თითქოს ბელგიელებს ხელი არაფერში უნდა შეშლოდათ, რადგან ბოლო მატჩი შვეიცარიელებთან 2:0 დაწინაურდნენ და 2 გოლიც რომ გაეშვათ, ნახევარფინალის საგზურს მაინც მოიპოვებდნენ, მაგრამ შვეიცარიამ 5 გაუტანა მეტოქეს და პირველი ჯილდოსთვის ბრძოლას თავად გააგრძელებს.

პორტუგალიამ მარტივად და კლასიკურად გადაწყვიტა ჯგუფში გამარჯვებულის ბედი და ვადამდე მოიპოვა ნახევარფინალის საგზური. მეტოქეებად კი იტალია და პოლონეთი ჰყავდა. ბ ლიგაში პოლონელები დაქვეითდნენ.

საინტერესო გამოდგა მე-4 ჯგუფიც. ბოლო მატჩში ერთმანეთს ინგლისი და ხორვატია ლონდონში ხვდებოდნენ. რომელი გუნდიც მოიგებდა, ნახევარფინალში გადიოდა, ხოლო წაგებული ბ ლიგაში. ფრედ დასრულების შემთხვევაში კი, ფლეი ოფის საგზური ესპანელების იყო. საბოლოოდ, ინგლისმა მოიგო, ხორვატია კი – დაქვეითდა...

ერთა ლიგის გამარჯვებულის ვინაობა 2020 წლის ივნისში გადაწყდება, ხოლო ოთხთა ფინალს (ჰოლანდია, პორტუგალია, შვეიცარია, ინგლისი) პორტუგალია უმასპინძლებს.

## ბ ლიგა.

ამ ლიგაში ბოლომდე გარკვეული არაფერი, მხოლოდ ერთ ჯგუფში იყო. ჯგუფში, სადაც რუსეთი, შვედეთი და თურქეთი მოხვდა, თავიდან სტანისლავ ჩერჩესოვის გუნდი 7 ქულით ლიდერობდა, ხოლო შვედებსა და თურქებს თითო ქულა ჰქონდათ. შვედებმა ყველაფერი გაიღეს ფლეი ოფში გასასვლელად – ჯერ თურქეთს მოუგეს (1:0) სტუმრად, ბოლოს კი, შინ დაამარცხეს (2:0) რუსები. სკანდინავიელები ფლეი ოფში გასვლის გარდა, ა ლიგაში აღზევდნენ, ხოლო თურქეთი ც ლიგაში დაქვეითდა.

მარტივად მოიგეს ჯგუფები უკრაინამ, დანიამ და ბოსნიამ, რის შემდეგ სამივე მათგანი აღზევდა, ხოლო ლიგა დატოვეს სლოვაკეთმა, ჩრდილოეთ ირლანდიამ და ირლანდიამ.

ფლეი ოფში ერთმანეთს შეხვდებიან: ბოსნია-შვედეთი; უკრაინა-დანია;

## ც ლიგა

საინტერესო ბრძოლები იყო ც ლიგაში. შოტლანდიამ ბოლო ტურში შინ 3:2 მოუგო ისრაელს, ზედა ლიგაში დაწინაურდა და ფლეი ოფის საგზურიც ირგუნა.

ნორვეგიამ პროცესში აჯობა ბულგარეთს და შოტლანდიელებს შეუერთდა.

მარტივად მოიგო ჯგუფი ფინეთმა, რომელმაც ბოლო 2 მატჩი კი წააგო, მაგრამ მანამდე ჰქონდა ყველაფერი განაღდებული.

ასევე იოლად გახდა ჯგუფის გამარჯვებული სერბეთის ეროვნული გუნდიც.

დ ლიგაში დაქვეითდნენ: ლიტვა, სლოვენია, ესტონეთი და კვიპროსი.

აქ ფლეი ოფში ურთიერთობას გაარკვევენ: შოტლანდია-ფინეთი და ნორვეგია-სერბეთი.

ერთა ლიგამ 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კალათებიც გადაანაწილა.

საქართველოს ნაკრების მიერ დ ლიგაში დაფიქსირებული საუკეთესო შედეგიდან გამომდინარე, ჩვენ 2020 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე მე-4 კალათაში ყოფნა გვერგო. ევროპირველობის შესარჩევის წილისყრა კი, 2 დეკემბერს დუბლინში გაიმართება.

**კალათები შემდეგნაირად გადანაწილდა:**

1. შვეიცარია, პორტუგალია, ჰოლანდია, ინგლისი, ბელგია, ესპანეთი, საფრანგეთი, იტალია, ხორვატია, პოლონეთი;
2. გერმანია, ისლანდია, ბოსნია, უკრაინა, დანია, შვედეთი, რუსეთი, ავსტრია, უელსი, ჩეხეთი;
3. სლოვაკეთი, თურქეთი, ირლანდია, ჩრდ. ირლანდია, შოტლანდია, ნორვეგია, სერბეთი, ფინეთი, ბულგარეთი, ისრაელი;
4. უნგრეთი, რუმინეთი, საბერძნეთი, ალბანეთი, მონტენეგრო, კვიპროსი, ესტონეთი, სლოვენია, ლიეტუვა, საქართველო;
5. მაკედონია, კოსოვო, ბელორუსი, ლუქსემბურგი, სომხეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, მოლდოვა, გიბრალტარი, ფარერები;
6. ლატვია, ლიხტენშტეინი, ანდორა, მალტა, სან მარინო.

წესების მიხედვით, ჩვენ მხოლოდ ერთი შეზღუდვა გვეხება, ისლანდიის ნაკრები ერთდროულად არ შეიძლება საქართველოსთან, სომხეთთან, კვიპროსთან და ისრაელთან მოხვდეს.

# შედეგები

**20 ნოემბერი**

**ფეხბურთი**

**უეფას ერთა თასი**

პორტუგალია-პოლონეთი .............. 1:1
შვედეთი-რუსეთი .......................... 2:0
სერბეთი-ლიტვა ............................ 4:1
ჩერნოგორია-რუმინეთი ................ 0:1
შოტლანდია-ისრაელი .................. 3:2
კოსოვო-აზერბაიჯანი ................... 4:0
მალტა-ფარერები .......................... 1:1
ეჩ-2019. შესარჩევი ეტაპი ............ (21)
პორტუგალია-პოლონეთი .............. 1:3
ავსტრია-საბერძნეთი ..................... 1:0

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# რონალდუ ოქროს ბურთის დაჯილდოებას არ დაესწრება



იტალიური მედია საშუალებების ინფორმაციით, ტურინის იუვენტუსისა და პორტუგალიის ნაკრების თავდამსხმელი კრიშტიანუ რონალდუ ყოველწლიური, პრესტიჟული ინდივიდუალური ჯილდოს „ოქროს ბურთის“ დაჯილდოების ცერემონიალს არ დაესწრება.

აპენინური მსხვილი და სოლიდური გამოცემები იუწყებიან, რომ დიდი ალბათობით საუკეთესო სამეულში არც რონალდუ და არც ლიონელ მესი მოხვდებიან, მოგეხსენებათ, ბოლო 10 წლის განმავლობაში ამ ჯილდოს სწორედ ეს 2 ფეხბურთელი იგებდა.

გამოკითხვის პირველი შედეგების მიხედვით „ოქროს ბურთი“ მსოფლიო ჩემპიონატისა და ჩემპიონთა ლიგის მომგებ რაფაელ ვარანს, მის თანამემამულე და პსჟ-ს თავდამსხმელ კილიან მბაპეს და ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელ, მადრიდის რეალისა და ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველ, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონ ლუკა მოდრიჩს შორის უნდა გათამაშდეს.

# იკერ კასილიასს ამერიკაში ეპატიჟებიან



მადრიდის რეალისა და ესპანეთის ნაკრების ლეგენდარული მეკარე, რომელიც ამჟამად კარიერას პორტუში განაგრძობს, პორტუგალიური მედიის ინფორმაციით, მომავალი სეზონიდან შესაძლოა ამერიკაში გადაბარგდეს.

„სამეფო კლუბის“ ყოფილი მეკარის მიმართ ინტერესს ჩიკაგო იჩენს. ნათქვამია ისიც, რომ კლუბის დატოვების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი შესაძლოა პორტუს მთავარ მწვრთნელ სერჟიო კონსეისაოსთან არსებული კონფლიქტი გახდეს. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის „ოქროს ხელთათმანის“ მფლობელ მეკარეს პორტუსთან კონტრაქტი 2019 წლის ზაფხულში ეწურება.

37 წლის მეკარე, რომელიც ორჯერ ევროპის და ერთხელ მსოფლიოს ჩემპიონი გახდა, ბლანკოსების შემადგენლობაში 1999-2016 წლებში თამაშობდა და 5-ჯერ ლა ლიგის, 3-ჯერ ჩემპიონთა ლიგის მოგება შეძლო.

წინა სეზონში კასილასი პორტუსთან ერთად პრიმერა ლიგის გამარჯვებული გახდა. მიმდინარე სეზონში პორტუგალიის ჩემპიონატში იკერმა 10 მატჩი ჩაატარა და 6 გოლი გაუშვა.

# ლეონ გორეცკა: „მეორეხარისხოვანია, რა მოხდა გასულ კვირას“

დასაწყისი მე-9 გვერდზე

ჩემი ოჯახიც.

***– როდესაც შენი პრეზენტაცია შედგა, მაშინ თქვი, რომ ბაიერნში გადმოსვლამდე დიდ ხანს ფიქრობდი, რა ფაქტორებმა ითამაშეს ყველაზე დიდ როლი?***

– ეს დიდი პროცესი იყო. მართლაც ბევრს ვფიქრობდი. ქალაქში არსებულ ამინდზეც კი, თუმცა, რა თქმა უნდა, ეს არცთუ ისე მნიშვნელოვანია. უამრავ წვრილმანს ვიაზრებდი. საბოლოოდ კი ჩამოვყალიბდი იმაზე, რაც მართლა მნიშვნელოვანი იყო.

***– და რა არის მნიშვნელოვანი?***

– პირადად ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო ის, რომ კლუბს მართლაც ძალზე სურდა ჩემი გადაბირება და ჰქონდა ჩამოყალიბებული გეგმა ჩემი შემდგომი ინტეგრაციისა. გარდა ამისა, უპირატესობად მიმაჩნია ის ფაქტი, რომ ამ ჩემპიონატს კარგად ვიცნობ. უცხო ქვეყანაში გადასვლას არც ვიხილავდი. ბაიერნი უდიდესი კლუბია, რომელსაც საოცარი მიღწევები გააჩნია. აქ არის გუნდი, რომელთან ერთადაც მე შემიძლია დიდი ნაბიჯები გადავდგა. აქ თითოეულ დღეს შემიძლია რაღაც ახლის სწავლა. მრავალი თვალსაზრისითაა შესაძლებელი სხვა საფეხურზე ასვლა. სწორედ ასე მივიღე გადაწყვეტილება და ამ დრომდე არ ვნანობ ამის შესახებ.

***– ბავარიაში ასპარეზობის დასაწყისი შეგვიძლია 2 ეპიზოდად გავყოთ. თავიდან ყველაფერი შესანიშნავად იყო, ახლა კი კრიტიკაც გვესმის.***

– მიუხედავად იმისა, რომ ეს ბანალური ფრაზაა, ამ სიტუაციას იგი ყველაზე მეტად მიესადაგება – ფეხბურთი რუტინაა. სრულიად მეორეხარისხოვანია, რა იყო გასულ კვირას. მნიშვნელოვანია, რა ხდება ახლა, ამ მოცემულ მომენტში. ამჟამად ჩვენ იდეალურ და ენერგიით გაჯერებულ ფეხბურთს ვერ ვდემონსტრირებთ, სწორედ ამიტომაც იბადება კრიტიკა, თუმცა ჩვენ ასევე შეგვიძლია ყველაფერი კარდინალურად შევცვალოთ. სწორედ ამაში მდგომარეობს ახლა ჩვენი მიზანი. მიმდინარე კვირას ყველაფერი გვექნება საიმისოდ, რომ ხსენებულ მიზანს მივაღწიოთ.

***– რა არის საჭირო იმისათვის, რომ არსებული განწყობა შეიცვალოს?***

– გამარჯვება და უკეთესი ფეხბურთი! მთლიანობაში მნიშვნელოვანია ის, თუ რას ვაჩვენებთ მოედანზე. ის თუ რა გზით მივალთ აქამდე, ეს არ არის მთავარი.

***– კიდევ უფრო წინ რომ გავიხედოთ მომავალში, როგორი გსურს, რომ იყოს შენი პირველი სეზონი ბაიერნში?***

– ამაზე არც მიფიქრია. არსებული სტარტით კმაყოფილი ვარ. აუგსბურგთან გამართული მატჩის გამოკლებით, რა დროსაც მარცხენა მცველის ამპლუაში ყოფნისას, ისე ვერ ვითამაშე, როგორც მინდოდა. მიმაჩნია, რომ კარგ ფეხბურთს ვაჩვენებ. ამავე განწყობით გაგრძელება მსურს. მინდა თავიდან ავირიდო ის მცირე ტრავმები, რაც მუდამ თან მდევს. კიდევ უფრო მეტი ინტეგრირება, შემდგომი პროგრესირება და ამით საკუთარი გუნდის დახმარება მწადია.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# „სამასწლოვანმა ჯადოქარმა“ სიყვარულის მაგიის საიდუმლო გაამხილა



ამერიკელმა ქალბატონმა, რომელიც საკუთარ თავს სამასწლოვან ჯადოქარს უწოდებს, სიყვარულის მაგიის საიდუმლო გაამხილა.

ამანდა იეტს გარსიამ, რომელიც კალიფორნიის შტატში ცხოვრობს, თავი „ლოს-ანჯელესელ ორაკულად“ გამოაცხადა. ქალი 100 დოლარს იღებს ერთ საათში მკითხაობაში ან მკურნალობაში. ასევე ის კლიენტებს ეხმარება სიყვარულის პოვნაში, ცხოვრებაში წარმატების მიღწევასა და ავი თვალისგან დაცვაში. ის კლიენტებს ხშირად სთხოვს მისთვის შეყვარებულის სურათის ან მისი ნაჩუქარი ნივთის მიტანას.

გასულ წელს მან განაცხადა, რომ შეულოცა აშშ-ის პრეზიდენტ დონალდ ტრამპს, რათა მან „სხვა ადამიანებისთვის ტკივილის მიყენება ველარ შეძლოს“.

გარსია ირწმუნება, რომ ჯადოქრები უკვე დიდი ხანია აღარ იყენებენ მითიურ ინგრედიენტებს, როგორიცაა, მაგალითად, ბაყაყის თვალი და ხალხს ურჩევს, თუ როგორ მონუსხონ ახალი შეყვარებული ოჯახურ პირობებში.

ქალი კლიენტებს ურჩევს, ახალი მთვარის ყოველი დღე დაიწყონ თეთრი ყვავილების და გარდენიის ზეთის აბაზანის მიღებით. მისი თქმით, ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ამ დროს ახლოს გქონდეთ ვარდისფერი კვარცი და შავი ტურმალინი.

– წყლის პროცედურების შემდეგ წყალი აუცილებლად უნდა ჩარეცხოთ და სააბაზანო მანამდე არ უნდა დატოვოთ, სანამ წყალი ბოლომდე არ დაიწრიტება, – აცხადებს ჯადოქარი. შემდეგ ქაღალდზე უნდა დაწეროთ: „საკუთარი შინაგანი ქალღმერთის ძალით ჩემთან ვიხმობ ახალ სიყვარულს, ის ვინც აფასებს...“ შემდეგ კი თქვენი ექვსი საუკეთესო თვისება ჩამოთვალოთ.

გარსიას რჩევით, სრული მთვარის დროს ქაღალდი გარდენიის ზეთით ვარდისფერი სანთლით უნდა დაწვათ. რიტუალის დასასრულებლად ფერფლი უნდა აერიოს ცვილში და ჩაიფლას სახლის შესასვლელთან ახლოს მდებარე მცენარის ძირში.

გარსია ირწმუნება, რომ ამით შესაძლებელია სახლში იმ ადამიანის მოზიდვა, რომელიც თქვენს საუკეთესო თვისებებს დააფასებს, თუმცა იმის გარანტიას, რომ ეს ყოველივე იმუშავებს, არ იძლევა.

# სასიკვდილოდ გადადებულმა მასწავლებელმა გათხოვება მოასწრო



ბრიტანულ საავადმყოფოში მოეწყო საქორწინო ცერემონია ქალისთვის, რომელიც კიბოს გამო სასიკვდილოდ იყო გადადებული.

33 წლის მასწავლებელმა სამანტა უებსტერმა საავადმყოფოს მუცლის არეში ტკივილების ჩივილით მიმართა, რის შემდეგაც გაიგო, რომ მას ბრმანაწლავის აგრესიული ფორმის კიბო ჰქონდა და რომელიც მკურნალობას არ ექვემდებარებოდა. ქალი 10 კვირის შემდეგ საავადმყოფოში გარდაიცვალა.

გარდაცვალებამდე მცირე ხნით ადრე უებსტერი თავის მეგობარ მამაკაცს, რომელიც ოთხი წლის წინ გაიცნო, ცოლად გაჰყვა. ცერემონიას, რომელიც პირდაპირ საავადმყოფოს საწოლთან მოეწყო, წყვილის ნათესავები და მეგობრები ესწრებოდნენ. ქალი შვიდი დღის შემდეგ გარდაიცვალა, მის გასვენებას 300-ზე მეტი ადამიანი ესწრებოდა.

# გოგონამ მძარცველი აიძულა, მისთვის შეწყალება ეთხოვა



ბრაზილიის ამაზონას შტატის ქალაქ მანაუს მცხოვრებმა გოგონამ დააკავა და პოლიციას ჩააბარა მძარცველი, რომელიც მას თავს დაესხა.

22 წლის საბრინა ლეიტესი საკუთარი სახლის ეზოში იდგა, როდესაც მის მახლობლად მოტოციკლი გაჩერდა, რომელზეც ორი ბოროტმოქმედი იჯდა. მათ გოგონას მობილური ტელეფონის მიცემა მოსთხოვეს.

გოგონა ოთხი წელი ჯიუ-ჯიცუში ვარჯიშობდა და გადაწყვიტა მძარცველებისთვის სათანადო პასუხი გაეცა. მათ გაქცევა სცადეს, მაგრამ ამ დროს საქმეში მეზობელი ჩაერია. ის მანქანით დაეჯახა ერთ-ერთ თავდამსხმელს და გაქცევაში ხელი შეუშალა.

ლეიტესმა საბრძოლო ილეთები გამოიყენა მძარცველის დასაკავებლად და 20 წუთის განმავლობაში ასფალტზე დაწოლილს აკავებდა, სანამ პოლიცია მივიდოდა. მამაკაცი დააპატიმრეს და მას ძარცვის მცდელობის ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ასტროპროგნოზი

## 22 ნოემბრისათვის



**ვერძი** – კეთილისმყოფელი დღეა კომერციული საქმიანობისათვის. საპირისპირო სქესთან ურთიერთობისას მეტი თავშეკავება გმართებთ. **კურო** – შემოქმედებითი აქტიურობა გაამართლებს. ემოციებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – ახალი იდეების განხორციელება სასიკეთო შედეგს გამოიღებს. ძველი პრობლემების მოგვარებასაც ნუ გადადებთ. **კირჩხიბი** – მივლინებაში, სამოგზაუროდ წასვლა სასურველი არ არის. გარშემომყოფები თქვენ მიმართ სითბოს ავლენენ. **ლომი** – ტრავმების მიღების ალბათობა დიდია. ჯანმრთელობას მაქსიმალურად გაუფრთხილდით. იზრდება გულ-სისხლძარღვთა დაავადებების გამწვავების რისკი. **ქალწული** – ახლობლებთან ურთიერთობა გეძაბებათ. გამორიცხული არ არის მწვავე კონფლიქტი. **სასწორი** – ყურადღებით იყავით და იოლად არავის მიენდოთ. ცრუ დაპირებების გაცემა არ არის საჭირო. **მორიელი** – ეცადეთ, ადრინდელი უარყოფითი ემოციებისაგან მალე გათავისუფლდეთ. ახალი ნაცნობობა სასიკეთო იქნება. **მშვილდოსანი** – შემოქმედებით სფეროში ბედი გწყალობთ. კონფლიქტური ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **თხის რქა** – ზედმეტად ნუ დაიტვირთებით. მსუბუქი საქმე აკეთეთ. იკვებეთ ჯანსაღად. **მერწყული** – სუფთა ჰაერზე ხანგრძლივი სეირნობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას საგრძნობლად გამოგიკეთებთ. არ დაივიწყოთ ახლო მეგობრები. **თევზები** – ვნებები მოთოკეთ. დაუფიქრებლობა და სპონტანურობა გავნებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. უდიდესი ქრისტიანული დღესასწაული; 2. მონასტერი ხარაგაულის რაიონში; 3. ტერიტორიული ერთეული შუა საუკუნეების საქართველოში; 4. ბილიარდის ერთ-ერთი სახეობა; 5. ზღვის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 9. ქართველი კომიკოსი; 12. რძის შაქარი; 14. აეროპორტი ტოკიოში; 15. გერმანული მსუბუქი ავტომობილი; 17. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 18. გარეგნული მომხიბვლელობა, შარმი.

**თარაზულად:** 6. დაბადების დღის აღნიშვნა; 7. ქარხნის ძველი ქართული სახელწოდება; 8. ჩანჩქერი არგენტინაში; 10. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 11. ტრიუკების შემსრულებელი კინოფილმებში; 13. სასამართლო გადაწყვეტილების გასაჩივრება უმაღლეს ინსტანციაში; 16. თმის, წვერის გამკრეჭი ხელოსანი; 19. საკონდიტრო ნაწარმი; 20. მიუნხენში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ლუდის ბარი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

### კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. პობედა; 2. წულა; 3. შემოქმედი; 4. აგუნა; 5. მამფალი; 8. როზეტი; 9. მინანქარი; 12. ბუზუკი; 14. ოაზისი; 16. იტილი.

**თარაზულად**: 1. პეტრიწონი; 6. ლეთარგია; 7. ბაირაღი; 9. მაწონი; 10. კალა; 11. ჰეროინი; 13. წნორი; 15. მუჯირი; 17. ყირმიზი; 18. ხუცესი; 19. კრისტი; 20. სიმინდი.

### კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. სორენტო; 2. მრუმე; 3. გრეიდერი; 4. სტუპორი; 5. პერგამონი; 9. ასტანა; 12. გერუსია; 14. როგანი; 15. ლეკი; 17. ნაიკი; 18. შიში.

**თარაზულად**: 6. ჰოპერი; 7. ქრისტინე; 8. რეჟიმი; 10. ტონგა; 11. კონვერტორი; 13. ბრუკლინი; 16. სედანი; 19. აკუსტიკა; 21. აისბერგი.

## ნინო მაჩაიძე და პლასიდო დომინგო დუეტში იმღერებენ



ცნობილი ქართველი სოპრანო ნინო მაჩაიძე მსოფლიო ვარსკვლავ პლასიდო დომინგოსთან ერთად დუეტში იმღერებს.

2019 წლის ზალცბურგის ფესტივალზე ნინო მაჩაიძე ჯუზეპე ვერდის ოპერაში „ლუიზა მილერი" მთავარ პარტიას იმღერებს. მასთან ერთად სპექტაკლში მონაწილეობას მიიღებენ პლასიდო დომინგო და ტენორი პიოტრ ბეჩალა.

ნინო მაჩაიძე, სოპრანო:

– უბედნიერესი ვარ, რომ მომავალი წლის ზაფხულს ვბრუნდები ჩემს უსაყვარლეს ზალცბურგის ფესტივალზე, ჩემი უსაყვარლესი ვერდის როლით „ლუიზა მილერი" და ასევე უბედნიერესი ვარ, რომ ჩემი კოლეგები იქნებიან სასწაული და განუმეორებელი პლასიდო დომინგო, ტენორი პიოტრ ბეჩალა და მაესტრო იქნება არაჩვეულებრივი ჯეიმს კონლონი.

## გიორგი ვარდოსანიძე „მხოლოდ ქართულში" მონაწილეობს



მუსიკისა და დრამის თეატრის მსახიობი გიორგი ვარდოსანიძე მუსიკალურ პროექტში „მხოლოდ ქართული" მონაწილეობს.

როგორც მსახიობმა განაცხადა, მას არ აშინებს სიახლეები და ნებისმიერ გამოწვევას დადებითად პასუხობს. სწორედ ერთ-ერთი სიახლეა მისთვის „მხოლოდ ქართული" და ამიტომაც გადაწყვიტა მასში მონაწილეობა.

გიორგიმ შესარჩევ ტურში მარინა ბერიძეს, სოფო ნიჟარაძეს და გიორგი უშიკიშვილს ტერენტი გრანელის ცნობილ ლექსზე დაწერილი სიმღერა „მე იმდენად შევეჩვიე სიკვდილს" შეუსრულა.

მარინა ბერიძემ გიორგის ურჩია, რომ დარჩეს იქ, სადაც არის, თუმცა სოფომ და გიორგიმ მას „კი" უთხრეს და მომდევნო ტურში გადაიყვანეს. როგორ გაართმევს მსახიობი თავს მეორე ტურს და მოხვდება თუ არა რჩეულთა შორის, ამას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

## ელდარ შენგელაიას ფილმს „სავარძელი" ტოკიოში აჩვენებენ



რეჟისორ ელდარ შენგელაიას ერთ-ერთ ბოლო ფილმს „სავარძელი" ტოკიოში აჩვენებენ.

რეჟისორის ახალი მხატვრული ფილმი ყველაზე პრესტიჟულ კინოთეატრ „ივანამი-ჰოლში" პირველი დეკემბრიდან 6 კვირის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი.

ფილმის მიმართ ტოკიოში დიდი ინტერესია. ჩვენებების დაწყებამდე, იაპონური მედია ელდარ შენგელაიასთან სკაიპით წერს ინტერვიუებს.

## ნოდიკო ტატიშვილს ახალი კლიპი აქვს



მომღერალმა ნოდიკო ტატიშვილმა ახალი კლიპი გადაიღო.

„მე ვოცნებობდი" – ასე ჰქვია სიმღერას, რომელზეც მომღერალმა კლიპი გადაიღო.

სიმღერა ამერიკაში მოღვაწე კომპოზიტორს დავით მჭედლიშვილს ეკუთვნის, ვიდეოს ავტორი კი ნესტან სინჯიკაშვილია. კლიპის მთავარი გმირი მსახიობი ნანუკა გულუაა. ეს მისთვის ვიდეორგოლში მონაწილეობის პირველი მცდელობაა.

ნოდიკომ ახალი ნამუშევარი მეგობრებსა და მედიის წარმომადგენლებს „რესპუბლიკაში" წარუდგინა და შექებაც დაიმსახურა.

## მოზარდ მაყურებელთა თეატრმა დავით სარაჯიშვილს სპექტაკლი მიუძღვნა




დიდი ქართველი მეწარმის, მეცენატისა და საზოგადო მოღვაწის დავით სარაჯიშვილს დაბადებიდან წელს 170 წელი შესრულდა. წელსვე აღინიშნება თბილისის კონიაკის ქარხნის დაარსებიდან 130-ე წლისთავი.

ამ საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით, 29 ნოემბერს მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრის მცირე სცენაზე სპექტაკლის „დავით სარაჯიშვილი" პრემიერა შედგება.

სპექტაკლი, რომლის ავტორი და რეჟისორი მაია შენგელიაა, XIX-XX საუკუნეების მიჯნის საქართველოს უმნიშვნელოვანეს მომენტებს ასახავს. წარმოდგენაში გამოყენებულია ლიტერატურულ-დოკუმენტური კოლაჟი, რომელიც ეყრდნობა დავით სარაჯიშვილის თანამედროვეთა მოგონებებს. ასევე გამოყენებულია დოკუმენტური ფოტომასალაც. ფრაგმენტები გურამ ქართველიშვილის, თამარ ამაშუკელის, თამარ თაგვაძის, ნანა კუპრეიშვილის, მწერალთა სახლის, საქართველოს ბანკის, თბილისის კონიაკის ქარხნის საავტორო გადაცემებიდან.

სპექტაკლის მხატვარია ნინო ლეონიძე, მუსიკალური გაფორმება ეკუთვნით ალექსანდრა ლორთქიფანიძეს და მაია შენგელიას, ქორეოგრაფი კი ანანო სამსონაძეა.

სპექტაკლში მონაწილეობენ პაატა მხეიძე, კახა ჭოლაძე, ნიკოლოზ კვანტალიანი, გიორგი ოქრუაშვილი, რაჟდენ კერვალიშვილი, ეკატერინე შარიქაძე და თამარ ცქვიტინიძე.

## გოდერძი ჩოხელის ლიტერატურული პრემია საუკეთესოებმა მიიღეს




საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული პრემიის „ერთგულება" გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

100-ზე მეტი საკონკურსო ნამუშევრიდან ჟიურიმ სამი საპრიზო და 6 საუკეთესო ნამუშევარი გამოავლინა.

გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული პრემიის პირველი ადგილი ზაზა ბიბილაშვილს ერგო, მეორე – ლანა მანველს, ხოლო მესამე ადგილის მფლობელი მარიამ სისვაძე გახდა.

საპრიზო ადგილის მფლობელები პრემია „ერთგულებით" და სამინისტროს მიერ დაწესებული ფულადი პრემიით დაჯილდოვდნენ.

გოდერძი ჩოხელის სახელობის ლიტერატურული პრემია მინიატურის ჟანრში, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პატრონაჟით და ფონდ „კულტურათა დიალოგის" ინიციატივით 2014 წელს დაფუძნდა.

## მაია დარსმელიძე და ნინი ქარსელაძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ





მომღერლები ნინი ქარსელაძე და მაია დარსმელიძე ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამის მიზეზი მაია დარსმელიძის მიერ „ქუჩის ბიჭების" სიმღერის შესრულების გაკრიტიკება და კატასტროფის წოდება გახდა.

ნინი ქარსელაძე:

– მაია დარსმელიძე ქუჩის ბიჭების გამოსვლაზე: „ეგ იყო კატასტროფა"... მაია, რადგან არ დაიცავი არაფერი, არც ურთიერთობა და არც ის ლინკი, რაც ჩვენ შორის არსებობდა, მეც ასევე გიპასუხებ. ახალ წელს ისე იმღერე, კატასტროფაც კი არ ითქმის, ვიდეო მოვჭერი, რადგან აქ ჩემი საყვარელი ადამიანი, რომა რცხილაძე მღერის. მე ერთხელ სტატუსში დავწერე, რომ ამ პრინციპით ვცხოვრობ და არ ვარღვევ-თქო, მაგრამ შენ აღმოჩნდი ადამიანი, რომლის გამოც დავარღვიე! ასეთი გამოსვლების პატრონმა სხვებზე არ უნდა წერო! იმედია, ეს არის პირველი და უკანასკნელი მსგავსი პოსტი, დარწმუნებული ვარ, არასოდეს დაგემსგავსებით!

**პ.ს.** ნაცების სიყვარულმა დაგაკარგვინა ადამიანობა, კოლეგიალობის შეგრძნება, ჰოდა, ამიტომაც მიიღე საკადრისი პასუხი!

მაია დარსმელიძემ ნინი ბრალდებებს ასე უპასუხა:

– რას მოვესწარი, არაპროფესიონალ, შეუმდგარ მომღერალს მეძახის ნინი ქარსელაძე და მისი მსმენელი. მე, როდესაც მემღერებოდა, აი ასეთ კონცერტებს ვატარებდი. ტრ..ზე მაკოცეთ, ქოცებო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

*კალეიდოსკოპი*

## ტყეში ნაპოვნი განძი სიყალბე აღმოჩნდა



რუმინეთში აღმოჩენილი პიკასოს ნახატი, ნაყალბევი აღმოჩნდა. ამ ინფორმაციას საინფორმაციო სააგენტო ფრანს-პრესი ავრცელებს.

ნახატი ჰოლანდიელმა მწერალმა მირა ფეტიკუმ იპოვა. ის ამტკიცებს, რომ დაახლოებით ათი დღის წინ მიიღო ანონიმური წერილი, რომელშიც ინფორმაცია იყო პაბლო პიკასოს ნახატის „არლეკინის თავი" ადგილსამყოფელის შესახებ და რომელიც როტერდამის სამხატვრო გალერეიდან ექვსი წლის წინ მოიპარეს. აღსანიშნავია, რომ პიკასოს ეს ნახატი 800 ათას ევროდაა შეფასებული.

მწერალმა წერილში მოყვანილი ინსტრუქციის მიხედვით იმოქმედა და რუმინეთში გაემგზავრა. საგულდაგულოდ შეფუთული ნახატი ტყეში მიწაში იყო ჩაფლული. რუმინეთის ხელისუფლებამ 17 ნოემბერს სურათის პოვნის თაობაზე განცხადება გააკეთა და მომხდარის გამოძიება დაიწყო.

მეორე დღეს ფეტიკუმ ნიდერლანდების ტელევიზიას განუცხადა, რომ ის სიცრუის მსხვერპლი გახდა. მისი თქმით, სურათის პოვნის შემდეგ მან ელექტრონული წერილი მიიღო ორი ბელგიელი რეჟისორისგან. მასში ისინი აღიარებდნენ, რომ ეს მათ დამალეს ტყეში სურათის ასლი და მას ანონიმური წერილი გაუგზავნეს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ტერმიტების დიდი ბრიტანეთის ზომის საცხოვრებელი აღმოაჩინეს



ბრაზილიაში მეცნიერებმა ტერმიტების საცხოვრებლების უზარმაზარი სისტემა აღმოაჩინეს, რომლის ფართობი დიდი ბრიტანეთის ფართობის შესაბამისია.

ბრაზილიელი, ბრიტანელი და ამერიკელი მეცნიერების ჯგუფმა ბრიტანეთის სოლფორდის უნივერსიტეტის ენტომოლოგ სტივენ მარტინის ხელმძღვანელობით ტერმიტების საბინადროს სამხრეთამერიკული ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მიაკვლიეს.

ტერმიტების ბუდეების სიმაღლე ორმეტრნახევარს აღწევს, ხოლო დიამეტრი მიწის ზედაპირთან დაახლოებით ცხრა მეტრია. 200 მილიონი ასეთი ნაგებობა ჭადრაკისებურადაა განლაგებული ერთმანეთისგან დაახლოებით 20 მეტრის დაშორებით. სულ ამ ნაგებობებს 230 ათასი კვადრატული კილომეტრის ფართობი უკავია. შედარებისთვის: დიდი ბრიტანეთის ფართობი 242,5 ათას კილომეტრს შეადგენს. ბიოლოგებმა ეს სისტემა ყველაზე დიდ სისტემად აღიარეს დედამიწაზე.

მარტინმა წინადადება წამოაყენა, ტერმიტების ეს სისტემა მსოფლიოს ბუნებრივ საოცრებად იქნეს აღიარებული.

## სპილოს შესაშინებლად მოწყობილი აფეთქებისგან ადამიანები დაზარალდნენ



ტაილანდის პროვინცია კანჩანაბურიში ოთხი ადამიანი დაშავდა აფეთქების შედეგად, რომელიც გარეული სპილოების დასაშინებლად იყო გამიზნული.

ინციდენტი იმ დროს მოხდა, როდესაც ოთხი მოხალისე პიკაპით პატრულირებდა სასოფლო სამეურნეო ნათესებს, რომლებსაც გარეული სპილოები არბევენ. ისინი ეგრეთწოდებული ჩოგბურთის ბურთის ყუმბარებით იყვნენ შეიარაღებულები – თვითნაკეთი მაგიდის ჩოგბურთის ზომის ბომბი, რომელიც ტაილანდშია გავრცელებული.

მათ დაინახეს ოთხი სპილო, რომლებიც ნათესებს ანადგურებდნენ. თავის მხრივ ცხოველებმაც შენიშნეს ისინი და მათი მანქანისკენ გაქანდნენ. ერთ-ერთ მოხალისეს შეეშინდა და მათთვის ყუმბარის სროლა გადაწყვიტა. მან ფითილს მოუკიდა, მაგრამ ყუმბარა ხელიდან გაუვარდა და იმ ჩანთაში ჩავარდა, რომელშიც დანარჩენი ყუმბარებიც ეწყო.

გამაყრუებელმა აფეთქებამ, სპილოები მართლაც დააფრთხო და ისინი გაიქცნენ, მაგრამ უფრო მეტად ადამიანები დაშავდნენ. ოთხივე მოხალისე საავადმყოფოში აღმოჩნდა, მათგან ორი სერიოზული ჭრილობებით, ამასთან პიკაპიც სერიოზულად დაზიანდა.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**22 ნოემბრისთვის**

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

აშშ დოლარი — 2.6741

ევრო — 3.0581

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4421

100 რუსული რუბლი — 4.0707

**ამინდის პროგნოზი 22 ნოემბრისთვის**




## გოგონა საქორწილო კაბით და ნიჩბით საქმროს ეძებს



ნიუ-იორკის მცხოვრებმა გოგონამ გადაწყვიტა ამიერიდან ყველაფერი საქორწინო კაბაში გამოწყობილმა გააკეთოს, რათა პოტენციური საქმროს ყურადღება მიიპყროს.

გოგონას თქმით, მას ეს იდეა მას შემდეგ დაებადა, როდესაც დაქალებისგან ინტერნეტის დახმარებით გაცნობილებთან უიღბლო ურთიერთობის ისტორიები მოისმინა.

– ძალიან მინდა გათხოვება, ძალიან მინდა სერიოზული ურთიერთობები, ამიტომ საკუთარი თავისთვის შევქმნი პროფილს ფოტოთი, რომელზეც რისი კეთებაც კი მიყვარს, ყველაფერს საქორწინო კაბით ვაკეთებ, – განმარტა გოგონამ

ინტერნეტში საქორწინო კაბის და ფატის შეკვეთის შემდეგ, გოგონა საკუთარი გეგმის განხორციელებას შეუდგა: საქორწინო კაბაში გამოწყობილი წავიდა მაღაზიაში, საპბორდზე ხელში ნიჩბით გაისეირნა. უახლოესი მომავლისთვის კი ის საქორწინო კაბით აპირებს პარიზსა და ისრაელში გამგზავრებას.

– ხალხს მოსწონს, საქორწინო კაბით რომ მხედავენ, ტაშს მიკრავენ და მამხნევებენ, – ამბობს გოგონა. მისი მტკიცებით, ამ წამოწყებამ ნაყოფი უკვე გამოიღო, ის უკვე იმყოფებოდა რამდენიმე პაემანზე, თუმცა საქმროს ძებნას ისევ აგრძელებს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მაურო იკარდიმ ნაკრებში პირველი გოლი გაიტანა



მილანის ინტერის ფორვარდმა მაურო იკარდიმ არგენტინის ნაკრების შემადგენლობაში პირველად შეძლო გოლის გატანა. იკარდისთვის ეს სასიხარულო ფაქტი მექსიკასთან შეხვედრაში მოხდა, რომელიც მისმა გუნდმა 2:0 მოიგო.

მატჩის შემდეგ იკარდიმ განაცხადა, რომ ძალიან სჭირდებოდა ეს გოლი და მომავალში ეცდება, კიდევ არაერთხელ დაამწუხროს არგენტინის ნაკრების მეტოქეები:

– ძალიან მიხარია, რომ გოლის გატანა შევძელი და ჩემი უგოლო სერია დავასრულე. ნაკრებში თამაში უდიდესი პატივია და ვამაყობ, რომ ჩემს ქვეყანას ვეხმარები.

## ტომას მიულერი: „ეს წელი ნაკრებისთვის საშინელებათა ფილმს ჰგავდა“



მიუნხენის ბაიერნის და გერმანიის ნაკრების ლიდერმა ტომას მიულერმა განაცხადა, რომ გერმანიის ნაკრებისთვის 2018 წელი საშინელებათა ფილმს ჰგავდა, სადაც ყველაფერი ცუდად მიდიოდა.

მიულერის თქმით, ხშირ შემთხვევაში გერმანელებს უბრალოდ არ უმართლებდათ და ბევრი რამ სწორედ ამის ბრალი იყო:

– ჰოლანდიასთან 3:0 უნდა მოგვეგო და ამის მაგივრად შეხვედრა ფრედ დასრულდა. მთელი წელია ასე არ გვიმართლებს, თუმცა ჩვენი წარუმატებლობის მიზეზი მხოლოდ ეს არ არის. 2018 წელი უნდა დავივიწყოთ და მხოლოდ წინ ვიყუროთ, – განაცხადა მიულერმა.

## ხულიან ლოპეტეგი შესაძლოა აშშ-ის ნაკრების მწვრთნელი გახდეს



მადრიდის რეალიდან განთავისუფლებული ხულიან ლოპეტეგი შესაძლოა ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული ნაკრების მწვრთნელი გახდეს.

ეს ინფორმაცია ესპანურ პრესაში გავრცელდა.

ლოპეტეგი ამჟამად ამერიკაში იმყოფება, სადაც სავარაუდოდ მოლაპარაკებებს აწარმოებს, თუმცა მას ეს ინფორმაცია არ დაუდასტურებია.

რეალამდე ლოპეტეგი რამდენიმე წლის მანძილზე ესპანეთის ნაკრებს წვრთნიდა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## იუმორი

ერთი თანამშრომელი ქალი მეორეს ეკითხება:

– ხომ ვერ მეტყვი, ყველა მამაკაცი თანამშრომელი რატომ მომჩერებია? რა, კაბის ქვეშ საცვალი მიჩანს?

– რომელი საცვალი?

•••

ბავშვმა დედა პირველად დაინახა კაბაში და გაოცებული სახით ეკითხება:

– დედიკო, შენ რა, გოგო ხარ?

•••

ერთი მეზობელი მეორეს ეუბნება:

– გაიგე, გივი და ნაზი რომ ქორწინდებიან?

– მართლა? არა და როგორ უყვარდათ ერთმანეთი!..

•••

ცოლი ქმარს შესჩივის:

– ჩვენი შვილი სრულიად აუტანელი გახდა.

– რატომ?

– ჩემ ნათქვამს ყურად არ იღებს და სხვა სულელებს უგდებს ყურს. მიდი, დაელაპარაკე...

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– საჭესთან რომ ზიხარ, ყველაზე მეტად რომელი მძღოლის გეშინია?

– ჯარისკაცის.

– კიდევ?

– მოტოციკლისტის.

– კიდევ?

– მთვრალის.

– და ქალი მძღოლის არ გეშინია?

– ჰოო!!! ქალი საჭესთან, ეს არის მთვრალი ჯარისკაცი მოტოციკლით.

•••

კაცი მაცივრიდან სასმელებს იღებს და ჩანთაში აწყობს. გაკვირვებული ცოლი ეკითხება:

– კაცო, აგარაკზე სულ ორი დღით მივდივართ და ამდენი სასმელი რატომ მოგაქვს?

– ძვირფასო, ეს ჩვენ კი არ მივდივართ აგარაკზე ორი დღით, არამედ ჩვენი შვილი რჩება აქ მარტო ორი დღით!

•••

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორ მიდის შენი კარიერული წინსვლა?

– ყველაფერი შესანიშნავადაა. მუშაობა უბრალო თანამშრომლად დავიწყე და ახლა უკვე გენერალური დირექტორის ცოლი ვარ!

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


## ბოაი



ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

საუკეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

– გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
– ნერვული სისტემა, ხერხემალი, სახსრები
– კანის დაავადებები
– უროლოგია
– გინეკოლოგია

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12
10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.




**ანშენი ბუსინ ვან**

უძილობა, არითმია, თავბრუსხვევა, ყურში შუილი, ნერვული გადაღლილობა




**სიაო ჰუო ლუო დან**

რევმატიზმი, სახსრების ტკივილი, მთლიანი სხეულის გამაჯანსაღებელი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ქ.თბილისი, დ.ყიფიანის ქ. №2
ტელეფონი: 2 47 91 12. 10.00-19.00 სთ. შაბათ-კვირის ჩათვლით.


## ნეიმარის ტრავმა სერიოზული არ არის



პსჟ-ს და ბრაზილიის ნაკრების ლიდერმა ნეიმარმა კამერუნის ნაკრების წინააღმდეგ შეხვედრაში კუნთის ტრავმა მიიღო და მოედანი დროზე ადრე დატოვა.

ბრაზილიის ნაკრების ექიმის თქმით, ტრავმა სერიოზული არ არის, თუმცა ნეიმარი გამოკვლევებს მაინც ჩაიტარებს.

აღსანიშნავია, რომ ტრავმა კილიან მბაპემაც მიიღო, თუმცა მისი ტრავმაც არ აღმოჩნდა მძიმე, ამიტომ, სავარაუდოდ, პსჟ-ს ორივე ვარსკვლავი ითამაშებს ლივერპულის წინააღმდეგ. ლივერპულთან შეხვედრა პსჟ-სთვის ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ფრანგულ გუნდს მხოლოდ მოგება აძლევს ხელს.

## ზეედორფს პრემიერ ლიგაში მუშაობა სურს



კლარენს ზეედორფმა განაცხადა, რომ მისი ოცნება პრემიერ ლიგაში მუშაობაა. ზეედორფის თქმით, პრემიერ ლიგა მსოფლიოში ყველაზე საინტერესო საფეხბურთო ტურნირია და იქ წარმატების მიღწევა ყველას არ შეუძლია.

– მწვრთნელისთვის ყველგან რთულია მუშაობა, რადგან წაგების შემთხვევაში პასუხისმგებლობა სწორედ მას ეკისრება და არა – ფეხბურთელებს. მინდა, რომ ჩემი თავი პრემიერ ლიგაში გამოვცადო, მაგრამ ამჟამად რომელიმე კონკრეტულ გუნდზე არ ვფიქრობ, – განაცხადა ზეედორფმა.

კლარენს ზეედორფი კამერუნის ნაკრების მთავარი მწვრთნელია, მანამდე კი ესპანურ დეპორტივოს ედგა სათავეში.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ნიადაგის ზედა ნოყიერი ფენა; 2. ახალ ზელანდიაში გავრცელებული მორბენალი ფრინველი; 3. სამედიატორო სასამართლო; 4. ჩინური ფინიკი; 5. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი იტალიური ფირმა; 8. წვრილად დაჭრილი გამხმარი თამბაქოს ფოთლები; 9. უბანი ქუთაისში; 12. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 14. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 16. უძრავი ქონების დროებით დაქირავება.

**თარაზულად:** 1. ჰოლანდიური ლუდი; 6. ძუნწი, წუწურაქი ადამიანი; 7. ქონება, რომელსაც საპატარძლოს ატანდნენ მშობლები გათხოვებისას; 9. პენალტი ჰოკეიში; 10. აუქციონ „კრისტის“ მფლობელი; 11. ქართული ხალხური სანადიმო სიმღერა; 13. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის ჯიში; 15. კომუნისტთა ბელადი; 17. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 18. მომღერალთა გუნდი; 19. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 20. ზღუდე, დაბრკოლება.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

